პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 67 (5168) | ოთხშაბათი, 23 მარტი, 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი (მოწინავე).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება 1938 წელს კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ.

ვ. მოლოკოვი — ჩრდილოეთ პოლუსისაკენ გაფრენა (1-ლი გვ.)

სოციალიზმის დიადი ქვეყნისთვის შეუძლებელი არაფერია!

ტ. აცანელი — გარდავქმნათ საქნავთის მუშაობა (მე-2 გვერდი)

ერ. ასტვაცატუროვი — ოვანეს თუმანიანი (მე-3 გვ.).

ოვ. თუმანიანი — საქართველოს პოეტებს (ლექსი — მე-3 გვ.)

უცხოეთში:

პრესის გამოძახილი ამხ. ლიტვინოვის განცხადებაზე (1-ლი გვ.)

ალვარეს დელ ვაიოს მიმართვა ინგლისის ხალხისადმი (1-ლი გვ.)

პოლონელ აგრესორთა თავხედური მოთხოვნები (1-ლი გვერდი).

მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად სოციალისტური მეცხოველეობა მძაფრ აღმავლობას განიცდის. პარტიის მე-17 ყრილობაზე დიდი **სტალინის** მიერ მოცემულ მითითებას, რომ „მეცხოველეობის საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს მთელმა პარტიამ, ყველა ჩვენმა მუშაკმა, პარტიულმა და უპარტიომ“ საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები მტკიცედ ანხორციელებენ. 1937 წლის 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა საქართველოში 477.000 სულით მეტი იყო, ვიდრე 1913 წელს. გაიზარდნენ და განმტკიცდნენ მეცხოველეობის სასაქონლო ფერმები, რომელნიც წარმოადგენენ სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების მთავარ ბაზას. ეს წარმატებანი მოპოვებულია ხალხის მტრების—ტროცკისტ-ბუხარინელი არამზადების წინაამდეგ მკაცრ ბრძოლაში.

მიუხედავად ხალხის მტრების მიერ მიყენებული ზიანისა, სოციალისტური მეურნეობა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიიწევს წინ.

მესამე სტალინური ხუთწლედის საბრძოლო ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ კიდევ უფრო მეტ სულადობასა, ხარისხობრივი მაჩვენებლების სწრაფ ზრდას და მეცხოველეობის პროდუქტების უფრო მეტ სიუხვეს.

ყოველივე ეს გვიკარნახებს მთელი სერიოზულობით გავშალოთ მუშაობა მავნებლობის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისათვის და რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ ნამატის მთლიანად შენარჩუნებას. ამჟამად უკვე გაჩაღებულია მოგების კამპანია. მიუხედავად ცალკე კოლმეურნეობათა მიღწევებისა, საერთოდ ნამატის მიღებასა და შენარჩუნებაში ცუდი მდგომარეობაა. პარტიის რაიონული კომიტეტები, რაიაღმასკომები, რაიმიწგანები, მიწსახკომი და კერძოდ მისი მეცხოველეობის სამმართველო არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ ამ საქმეს. კარგი მუშაობით ამ მხრივ ვერ დაიკვეხნიან ყვარლის, თიანეთის, დუშეთის, სიღნაღის, ყაზბეგის, თელავის, თბილისისა და სხვა რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები.

ყვარლის რაიონში ბევრს ლაპარაკობენ სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობაზე, მაგრამ საქმის დროს ამას ივიწყებენ. რით უნდა აიხსნას ის მდგომარეობა, თუ არა მეცხოველეობის შეუფასებლობით, რომ ამ რაიონში ბატკნის სიკვდილიანობა 12 პროცენტს უდრის?

არის სიგნალი, რომ თელავის რაიონში ცხვრის გაბერწება 3 პროცენტს აღწევს. ეს უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ სადოლე ცხვრებს აქ არაწესიერად უვლიან.

მეტად ცუდ მაჩვენებლებს იძლევა ბაშკიჩეთის რაიონი. ნამატის შენარჩუნების საქმეს აქ ზერელედ ეკიდებიან. მაგალითად, ხბოების სიკვდილიანობა 2,3 პროცენტს უდრის. არის გაბერწების ბევრი შემთხვევა. ამ რაიონის სოფ. გუზდილიარის კოლმეურნეობაში ძროხების გაბერწება 20 პროცენტს აღემატება. მამიშლარის კოლმეურნეობაში ძროხების გაბერწება 15 პროცენტზე მეტია. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოოვეტმომსახურება უხეიროდ არის დაყენებული, მოწესრიგებული არ არის პირუტყვის წესიერი კვება.

ზოგიერთ ადგილობრივ ორგანიზაციებს რატომღაც არ აინტერესებთ იმ პირუტყვის მდგომარეობა, რომელიც რაიონს ტერიტორიულად დაშორებულია და საზამთრო საძოვრებზე იმყოფება. მაგალითად, თიანეთის რაიონის 27 კოლმეურნეობის ძროხა, ცხვარი, ცხენი იმყოფება იორისა და ტარიბანის საძოვრებზე. ამ პირუტყვს არ გააჩნია კონცენტრირებული საკვები და არც უხეში საკვებია მიზიდული ადგილზე. ეს იწვევს ნამატის სიკვდილიანობას, ხშირ გაბერწებას. ყველაფერი ეს ცნობილია თიანეთის პარტრაიკომისა და რაიაღმასკომისათვის, მაგრამ მათ მიერ რეალური დახმარება ამ კოლმეურნეობებისადმი ჯერ კიდევ არა ჩანს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აგრეთვე სიღნაღის რაიონშიც. სოფ. ჯუგაანის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში ბატკნის სიკვდილიანობა 30 პროცენტს აღემატება. ამავე სოფლის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობაში 160 დედაცხვარისაგან მხოლოდ 87 ბატკანი შეინარჩუნეს. ეს ფაქტები გამონაკლისს არ წარმოადგენს.

ნამატის შენარჩუნებაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ზოოვეტმომსახურებას. ბევრგან კი ეს საქმე თვითდინებაზეა მინდობილი. სამუშაო უბანზე ვეტექიმების გადასროლას ჯერჯერობით ყურადღება არ ექცევა. ბევრგან ეს კადრები სწორად არ არის გამოყენებული. ბორჯომის რაიონის უფროსი ზოოტექნიკოსი ნიკოლაევი შეთავსებით რაიმიწგანის ბუხჰალტრად მუშაობს. ამავე რაიონის სოფ. ბაკურიანის და ტაბაწყურის უბნის ზოოტექნიკოსები ვ. აბდუშელიშვილი და ვ. გოგელაძე შეთავსებით სასოფლო საბჭოს აღმრიცხველებად მუშაობენ. ამიტომ ისინი მეცხოველეობის ფერმებში იშვიათად დადიან. რა გასაკვირია ამის შემდეგ, რომ ამ რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა მოუმზადებელი შეხვდა მოგების კამპანიას?

სამიწათმოქმედო ორგანოთა შეუწყნარებელი უდარდელობით უნდა აიხსნას ის, რომ პირუტყვი ბევრგან მომარაგებული არ არის საკვებით.

თიანეთის რაიონის სოფ. გუდანელების კოლმეურნეობის ფერმას, რომელსაც საქონელი ტარიბანის საძოვრებზე ჰყავს, სრულიად არ გააჩნია კონცენტრირებული საკვები და ადგილზე არც თივა მიუზიდნია. ახალქალაქის რაიონის სოფ. მერენის კოლმეურნეობაში არა თუ კონცენტრირებული საკვები, არამედ თივაც არ გააჩნიათ და პირუტყვს მარტო ბზით ჰკვებავენ. ასეთსავე მდგომარეობას ვხვდებით თელავის, ბორჯომის რაიონებშიც. ეს შეუწყნარებელია. ნუ დავივიწყებთ, რომ „პირუტყვის მთელი სულადობის უზრუნველყოფა საკვების სრული ნორმით — რაიონული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“ (ლ. ბერია).

საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება ამ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებისათვის. პარტიის საოლქო კომიტეტებმა, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა სასწრაფოდ უნდა განიხილონ პირუტყვის მოგების მიმდინარეობა და ცალკეულ კოლმეურნეობათა მიხედვით დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ნამატის მთლიანად შენარჩუნებას, დაუყოვნებლივ დაგზავნონ ადგილებზე ვეტექიმები, ზოოტექნიკოსები და საზამთრო საძოვრებზე მოგებისათვის ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად მიავლინონ პასუხისმგებელი მუშაკები.

სრულ წესრიგში უნდა იქნას მოყვანილი პირუტყვთა ბინები და დაწესდეს მწყემსების დღისით და ღამით მორიგეობა ბოსლებში, ფარეხებში, საბატკნეებში.

1938 წელს მეცხოველეობიდან კიდევ უფრო უხვი პროდუქტები უნდა მივიღოთ და მთლიანად შევინარჩუნოთ ნამატი. საამისოდ ყველა პირობა არსებობს. საჭიროა მხოლოდ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამიწათმოქმედო ორგანოები და კერძოდ მიწსახკომი განიმსჭვალონ პასუხისმგებლობის გრძნობით მეცხოველეობის ნამატის მთლიანად შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და გვიჩვენონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის ბოლშევიკური უნარი.

პოლონელ აგრესორთა თავხედური მოთხოვნები

ვარშავა, 21 მარტი (საკდესი). ცალკეული გაზეთების წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ პოლონეთს არა აქვს განზრახვა დაკმაყოფილდეს ლიტვასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებით, არამედ ფიქრობს გამოიყენოს ეს ნაბიჯი ლიტვაზე შემდგომი ზეგავლენის მოსახდენად.

გუშინ ვილნოში გაიმართა პოლონეთის იმ სამხედრო ნაწილების დემონსტრატიული პარადი, რომლებიც თავმოყრილი არიან პოლონეთ-ლიტვის საზღვართან.

ექსპრესის სააგენტო იუწყება, რომ ვილნოს რკინიგზების სამმართველო დაჩქარებით ემზადება იმისათვის, რათა დაამყაროს სარკინიგზო მიმოსვლა პოლონეთსა და ლიტვას შორის, თუმცა ამ საკითხზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ ჯერ კიდევ არავინ არაფერი იცის.

„ილუსტროვანი კურიერ ცოძენის“ ლონდონელი კორესპონდენტი, ემყარება რა „ინგლისურ წყაროებს“, სწერს პოლონეთის მთელ რიგ ახალ მოთხოვნილებებზე: სრული ავტონომიის მინიჭება ლიტვაში მცხოვრებ პოლონელთათვის, იმის უზრუნველყოფა პოლონეთისათვის, რომ მას თავისუფალი მისასვლელი ჰქონდეს ლიტვის ბალტიის ნავსადგურებთან (განსაკუთრებული უპირატესოებრივი პირობებით პოლონეთის სავაჭრო ფლოტისათვის კლაიპედსა და პალიანგში).

შემდეგ ამავე გაზეთს მოჰყავს „ჯორნალე დ' იტალიას“ ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს განზრახულია პოლონეთის საზღვაო და სამხედრო ბაზის შექმნა კლაიპედში.

გუშინ ვარშავაში ვრცელდებოდა ენდეკთა ფურცლები, რომლებიც მოითხოვდნენ შემდგომი ზეგავლენის მოხდენას ლიტვაზე.

„ლიტვა ჯერ კიდევ არაერთ დათმობაზე წავა, თუ იგი მუდმივი ზეგავლენის ქვეშ იქნება“, — ნათქვამია ფურცელში და შემდეგ მოყვანილია ენდეკების მიერ წამოყენებული მოთხოვნები: პოლონეთის კავშირი ლიტვასთან, სამხედრო ბაზა კლაიპედში პოლონეთის ფლოტისათვის, საბაჟო უნია და ა. შ.

პაპანინელები ყინულმჭრელ „ერმაკიდან“ ლენინგრადში ნაპირზე გადმოდიან. საბჭოთა კავშირის გმირი ი. დ. პაპანინი მიესალმება. მამაც მეზამთრეთა შესახვედრად მოსულ ხალხს.

„სოიუზფოტო“

ჩრდილოეთის პოლუსისაკენ გაფრენა

ვ. მოლოკოვი

საბჭოთა კავშირის გმირი

1937 წლის 22 მარტი. ეს დღე დაუვიწყარია. უდიდესი სიხარულის გრძნობით მოვსწყდი აეროდრომს მძიმე საჰაერო ხომალდით „სსსრ ნ—171“. გააკეთა რა რამდენიმე გამოსათხოვარი წრე დედაქალაქის თავზე, ესკადრილია გაემართა ჩრდილოეთისაკენ. უნდა მოგვეხდინა უმაგალითო რეისი არქტიკის შუაგულისაკენ, საიდუმლოებით მოცული პოლუსისაკენ.

გზა ჩვენი პლანეტის ჩრდილო მწვერვალისაკენ ჩემთვის განსაკუთრებით მიმზიდველი და წარმტაცი იყო. მე არაერთხელ მომიხდა აღმოსავლეთ არქტიკის მკაცრი სივრცეების გადასერვა თვითმფრინავით, კარგად ვიყავი გაცნობილი ლაპტევების ზღვის, ჩუკოტკის, აღმოსავლეთ ციმბირისა და კარის ზღვების ნაპირებს, ციმბირის მდინარეთა უცნაურ ხვეულებს. მაგრამ ფრანც-იოსების მიწისაკენ მე ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიკვლევდი გზას.

ექსპედიციის მონაწილენი, სტოვებდნენ რა მოსკოვს, გრძნობდნენ, რაოდენ საპასუხისმგებლო სამუშაო მიანდეს მათ პარტიამ, მთავრობამ, ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა. და ეს გვინერგავდა ჩვენ სიმხნევეს და ენერგიას, რწმენას, რომ წარმატებით შევასრულებდით ისტორიულ საქმეს.

ჩრდილოეთის პოლუსისაკენ გაემართნენ ისეთი გამოცდილი პოლარელი მფრინავები, როგორიც არიან ვოდოპიანოვი, ალექსეევი, გოლოვინი, კოზლოვი. ისინი გაცნობილი იყვნენ დასავლეთ არქტიკაში ფრენის პირობებს, და ეს უზრუნველჰყოფდა ყველა იმ სიძნელისა და დაბრკოლების წარმატებით გადალახვას, რომლებიც ჩვენ მოგველოდა ცენტრალური პოლარული ბასეინის უცნობ რაიონებში.

დიდხანს ჯიუტობდა ამინდი. მაგრამ ჩვენ ერთხელაც არ დაგვიკარგავს სიმტკიცე, მოთმინება, სიფრთხილე და წინდახედულება—თვისებანი, რომლებიც სრულიად აუცილებელია არქტიკაში მუშაობისათვის.

დიდხანს მოგვიხდა ლოდინი რუდოლფის კუნძულზე. ნისლს, თოვლსა და ქარიშხალს თითქოს ბოლო არ უჩნდა. მაგრამ აი დადგა სანატრელი დღე.

როგორც ვიცით, პოლუსისაკენ პირველი გაფრინდა საბჭოთა კავშირის გმირი მ. ვ. ვოდოპიანოვი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მივიღეთ მისი რადიოგრამა საუცხოო ყინულოვანი აეროდრომის შესახებ ჩრდილოეთის პოლუსის რაიონში.

25 მაისს გადაწყდა, რომ პოლუსისაკენ გაფრენილიყვნენ მოლოკოვის, ალექსეევის და მაზურუკის ხომალდები.

ყოველგვარი მზადება დავამთავრეთ და მალე სავსებით გადატვირთული მანქანა „სსსრ ნ—171“ გაჭირვებით მოსწყდა რუდოლფის კუნძულის თოვლიან აეროდრომს. ჯერ ღრუბლებს ქვემოთ მოგვიხდა ფრენა. მცირეოდენ სიმაღლეზე „სსსრ ნ—171“-მა მიაღწია ღრუბლიანობის საზღვარს. ჩვენ ალექსეევსა და მაზურუკს დავუწყეთ ლოდინი. ალექსეევი მალე აფრინდა, მაგრამ მაზურუკს ვეღარ დავუცადეთ: მოტორები ხარბად ნთქავდნენ საწვავის მარაგს, რომელიც ნავარაუდევი იყო ფრანც-იოსების მიწიდან ჩრდილოეთის პოლუსამდე მიფრენისა და უკან დაბრუნებისათვის.

არაჩვეულებრივად კარგი ამინდი დაგვიდგა. მანქანა მიგვყავდა საშუალოდ 1700 მეტრის სიმაღლეზე 170-180 კილომეტრის სისწრაფით საათში. მხოლოდ უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში მივდიოდით უფრო ნელა ალექსეევის თხოვნით.

ახალგაზრდა ნიჭიერი შტურმანი ალიოშა რიტსლიანდი, რომელიც წელს უდროოდ დაიღუპა დირიჟაბლის კატასტროფის დროს, ოსტატური სიზუსტით იკვლევდა გზას.

26 მაისს, დაახლოებით დილის 6 საათზე, „სსსრ ნ—171“ გადაუარა პოლუსს.

— აი დედამიწის საოცნებო წერტილი, რომლის მიღწევასაც ცდილობდა მრავალი მკვლევარი!

მე სიამაყით ვფიქრობდი ჩემს საყვარელ სამშობლოზე, ქვეყანაზე, რომელმაც მსოფლიოში პირველმა შესძლო ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობა.

გავაკეთე რა წრე პოლუსის თავზე, პაპანინის ბანაკისაკენ წავიყვანე მანქანა. რამდენიმე წუთის შემდეგ ბანაკი უკვე თვითმფრინავის ფრთის ქვეშ იყო. მხურვალე და სასიხარულო იყო მეგობრებთან შეხვედრა...

6 ივნისს მფრინავები, რომლებმაც ჩრდილოეთის პოლუსზე გადაიყვანეს პაპანინელები და გადაიტანეს მათი ქონება, გულმხურვალედ გამოეთხოვნენ მოზამთრეებს და სამხრეთისაკენ აიღეს კურსი. თვითმფრინავი სულ უფროდაუფრო მაღლა ადიოდა.

— ნახვამდის, ძვირფასო მეგობრებო! გისურვებთ წარმატებას სტალინის დავალების შესრულებაში.

მალე ჩვენ კვლავ სტუმართმოყვრულად შეგვეგება რუდოლფის კუნძულის აეროდრომი. უკან დაბრუნება უფრო ადვილი გვეჩვენებოდა, თუმცა იყო მეტად არასასიამოვნო წუთებიც. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა სტარტი რუდოლფის კუნძულიდან მატერიკზე. ვაიგაჩის თავზე გამუდმებით ნისლში მივფრინავდით. ძნელი იყო აგრეთვე ამდერმაში დაშვება.

ჩვენ გამარჯვებულნი გამოვედით მკაცრ სტიქიასთან ბრძოლაში. სასიხარულო იყო ჩვენი დაბრუნება მშობლიურ მოსკოვში, სადაც ჩვენ შეგვხვდნენ საყვარელი ამხანაგი სტალინი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

საჰაერო ესკადრილიის გაფრენამ ჩრდილოეთის პოლუსზე უძვირფასესი გამოცდილება შესძინა საბჭოთა მფრინავებს. მან მოამზადა ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის, გრომოვის, იუმაშევისა და დანილინის დაუვიწყარი გადაფრენები.

1938 წლის 17 მარტს, დავხვდი რა ლენინგრადის ვაგზალზე ი. დ. პაპანინს, პ. პ. შირშოვს, ე. თ. კრენკელს და ე. კ. ფედოროვს, მე გულმხურვალედ მივესალმე მამაც პოლარელებს. თვითეული ჩვენგანი ამ წუთებში განიცდიდა სიამაყის გრძნობას შესანიშნავი საბჭოთა ადამიანებისათვის. ჩვენ მივიყვანეთ ისინი ჩრდილოეთის პოლუსის თეთრ ლაქასთან. თუ საჭირო იქნება, თუ პარტია, მთავრობა, ამხანაგი სტალინი მოგვცემს ჩვენ ახალ დავალებას, საბჭოთა მფრინავები საბჭოთა ადამიანებს მიიყვანენ, სადაც გნებავთ, დედამიწის ყოველ წერტილზე. (საკდესი).

სოციალიზმის დიადი ქვეყნისთვის შეუძლებელი არაფერია!

მოსკოვი, სწორედ ერთი წლის წინათ დაგტოვეთ შენ, რათა გამოგვეცნო ჩრდილოეთის პოლუსის საუკუნოებრივი საიდუმლოებანი, რათა შეგვესრულებინა ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს დავალება, ისტორიული სტალინური განაწესი.

მადლობის გრძნობით და სიყვარულით ვიგონებთ ვოდოპიანოვის, მოლოკოვის, ალექსეევის, მაზურუკის გმირულ გაფრენებს. ამ გაფრენებმა საშუალება მოგვცა დაგვეარსებინა მოდრეიფე ყინულზე ჯერ არნახული სამეცნიერო-საკვლევო სადგური. საბჭოთა თვითმფრინავების ფრთებით ჩვენ გადაგვიყვანეს არქტიკის შუაგულში.

საბჭოთა მფრინავებმა საბჭოთა თვითმფრინავებით ცხადჰყვეს, რომ სოციალიზმის დიადი ქვეყნისთვის შეუძლებელი არაფერია, არაფერია მიუწვდომელი. ჩვენ ვიცით: სამშობლო უბრძანებს,—და ჩვენი სახელოვანი მფრინავები, სტალინის აღზრდილები ჩვენი პლანეტის ყოველ პუნქტში დაეშვებიან.

სოციალიზმის ქვეყნის ამაყო შავარდნებო! იცოცხლეთ, იმუშავეთ, მიაღწიეთ გამარჯვებებს! გადალახეთ ყოველი მანძილი ყოველგვარ ამინდში!

პაპანინი
შირშოვი
კრენკელი
ფედოროვი

პაპანინელები პიესა „ოცნების“ პრემიერაზე

21 მარტს მოსკოვში, კამერულ თეატრში შესდგა პრემიერა საბჭოთა კავშირის გმირის მ. ვ. ვოდოპიანოვის პიესა „ოცნებისა“, რომელიც გადამუშავებულია ავტორის მიერ. წარმოდგენას დაესწრნენ ჩრდილოეთის პოლუსის მამაცი დამპყრობელები—ამხ. პაპანინი, შირშოვი, კრენკელი და ფედოროვი, საბჭოთა კავშირის გმირები—ამხ. ვოდოპიანოვი და ჩკალოვი, ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მონაწილენი, დედაქალაქის თეატრალური საზოგადოებრიობის გამოჩენილი წარმომადგენლები.

დარბაზში შემოსვლისას პაპანინს, შირშოვს, კრენკელს და ფედოროვს აღფრთოვანებული ოვაციებით მიეგებნენ. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ტაშისცემით მიესალმა სამშობლოს მამაც შვილებს.

მხურვალე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა რსფს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ა. ი. ტაიროვმა და პიესის ავტორმა საბჭოთა კავშირის გმირმა მ. ვ. ვოდოპიანოვმა.

წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა. (საკდესი).

◆

იაპონიის სასამართლოს განაჩენი „კუზნეცკსტროის“ კაპიტნის მიმართ

ტოკიო, 21 მარტი (საკდესი) „ნიცი ნიცის“ გადმოცემით, გუშინ ქალაქ ხაკოდატეში გაასამართლეს საბჭოთა გემის „კუზნეცკსტროის“ კაპიტანი. გემის კაპიტანს მიესაჯა 1500 იენი ჯარიმის გადახდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ პროკურორმა მოითხოვა კაპიტნის ერთი წლით მოთავსება საპატიმროში.

პრესის გამოძახილი ამხ. ლიტვინოვის განცხადებაზე

ანკარა, 21 მარტი (საკდესი). თურქეთის პრესა კვლავ სერიოზულ ყურადღებას აქცევს ამხ. ლიტვინოვის განცხადებას უცხოელ ჟურნალისტებისადმი. გაზეთებმა „ჯუმხურიეტმა“, „ტანმა“ და „სონ პოსტამ“ დიდი მოწინავე სტატიები უძღვნეს ამ განცხადებას.

„ჯუმხურიეტი“ მოწინავე სათაურით „უნდა ვიმოქმედოთ“ აღნიშნავს, რომ დროული იყო ამხ. ლიტვინოვის გამოსვლა იმ მომენტში, როდესაც ფაშისტური გერმანიის ექსპანსია აღმოსავლეთ ევროპაში და ფაშისტური იტალიის ექსპანსია ხმელთაშუა ზღვის ბასეინში მთელ რიგ ქვეყნებს ემუქრება. სავსებით ბუნებრივია, — სწერს გაზეთი, — რომ არ შეიძლებოდა იმ ფაშისტური სახელმწიფოების თვითნებობა, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ დანარჩენ ქვეყნებს და აბუჩად იგდებენ დემოკრატიულ ქვეყნებს, არ შეჰხებოდა სსრ კავშირს, რომელიც მტკიცედ ატარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას. შემდეგ, აკრიტიკებს რა იმ ქვეყნების პოლიტიკას, რომლებსაც ლოდინის პოზიცია უჭირავთ აგრესორების მიმართ ანდა პირდაპირ მიდიან დათმობებზე მათ მიმართ, გაზეთი პირველ რიგში ბრალს სდებს ინგლისს, რომელსაც, საფრანგეთთან და სსრ კავშირთან ხელიხელ ჩაკიდებულს შეეძლო გადაერჩინა მსოფლიო მრავალი საშიშროებისაგან.

„საჭიროა,—სწერს შემდეგ გაზეთი,—რომ ინგლისი გადაჭრით მიემხროს სსრ კავშირსა და საფრანგეთს მშვიდობიანობის შენარჩუნების ინტერესებისათვის. ინგლისელებმა იციან უკეთ, ვიდრე სხვა ვინმემ, რომ ევროპაში ომის დაწყების დროს ისინი, თავისი საკუთარი მდგომარეობის გადასარჩენად ძალაუნებურად სასწრაფოდ უნდა დაეხმარონ საფრანგეთს. იბადება კითხვა —რაღა საჭიროა იცადო და საშუალება მისცე ხანძარს კიდევ უფრო გაღვივდეს, როდესაც შეიძლება წინდაწინ აიცილო თავიდან“. დასასრულ სტატია მოუწოდებს გადამწყვეტი მოქმედებისაკენ აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბარსელონა, 21 მარტი (საკდესი). კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის ორგანო „ტრებალი“ ამხ. ლიტვინოვის მიერ უცხოელი ჟურნალისტებისათვის მიცემული განცხადების გამო მოთავსებულ სტატიაში აღნიშნავს, რომ „მხოლოდ საბჭოთა კავშირი ეწევა მშვიდობიანობის თანამიმდევრობით პოლიტიკას, რომელიც შეეფერება მთელი კაცობრიობის სურვილებს. საბჭოთა კავშირი ხმას იმაღლებს ხალხთა დასაცავად. ლიტვინოვმა აშკარად და პირდაპირ მიმართა სახელმწიფოებს. სსრ კავშირი მიუთითებს იმათზე, ვისაც დანაშაული მიუძღვის მუქარის შექმნაში და, ამგვარად, ერთხელ კიდევ გამოდის ესპანეთისა და მთელი ცივილიზებული მსოფლიოს დასაცავად. ესპანეთში დანთებული ხანძარი შეიძლება მთელს ევროპას მოედოს. ლიტვინოვი აღნიშნავს, თუ როგორ შეიძლება კიდევ უკანასკნელ წუთში მსოფლიოს გადარჩენა“.

ალვარეს დელ ვაიოს მიმართვა ინგლისის ხალხისადმი

ლონდონი, 21 მარტი (საკდესი). „მანჩესტერ გარდიანი“ ათავსებს ესპანეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ალვარეს დელ ვაიოს მიმართვას ინგლისის ხალხისადმი. იგი სწერს, რომ ბარსელონის უკანასკნელ საჰაერო ბომბარდირებათა დროს მეამბოხეებმა მოჰკლეს 2.000 კაცი და დასჭრეს ამდენივე კაცი. ყველაზე საშინელი წინასწარმეტყველებანი მომავალი საჰაერო ომის შესახებ, — სწერს ალვარეს დელ ვაიო, საზიზღარ სინამდვილედ იქცა ბარსელონაში. ესპანეთის ხალხი მიმართავს ინგლისის ხალხს მოწოდებით აღიმაღლოს საპროტესტო ხმა ბარსელონის სამოქალაქო მოსახლეობის გაჟლეტის წინააღმდეგ, აგრეთვე იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც უფლებას ართმევს ესპანეთის მთავრობას შეიძინოს თავდაცვის საშუალებანი ათასობით ქალებისა და ბავშვების მკვლელ ფაშისტთა წინააღმდეგ.

ფაშისტი ინტერვენტები დიდ უმეტესობას შეადგენენ მეამბოხეთა არმიაში

პარიზი, 21 მარტი (საკდესი). ესპანის სააგენტოს ცნობით ფაშისტთა იმ არმიის შემადგენლობაში, რომელიც მოქმედებს აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტზე, შედიან: იტალიელთა რამდენიმე დივიზია 50 ათასი ჯარისკაცის რაოდენობით; მაროკოს საარმიო კორპუსი სულ მცირე 40 ათასი ჯარისკაცის რაოდენობით; 10 ათასი გერმანელი, მეტ წილად სპეციალისტები და ტექნიკოსები; დაახლოებით 20 ათასი პორტუგალელი, რუმინელი და უნგრელი; 10 ათასამდე ჯარისკაცი ესპანეთის უცხოელი ლეგიონისა და 20 ათასამდე ესპანელი, მეტ წილად ნავარელები და გალისიელები.

ამგვარად ფაშისტთა არმიაში, რომელიც მოქმედებს აღმოსავლეთ ფრონტზე, დაახლოებით 150 ათასი კაცი ითვლება. ამ არმიაში უცხოელი ინტერვენტები ესპანელების მიმართ წარმოდგენილი არიან პროპორციით 13:2.

ამ ფაშისტურ ძალებს აქვთ 700-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი და ყუმბარმტყორცნი, ათასზე მეტი ქვემეხი, ასობით ტანკები, ათასობით ტყვიამფრქვევები და სამხედრო საჭურველის დიდძალი მარაგი.

„ჩინეთი და სსრ კავშირი“

ხანკოუ, 20 მარტი (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კულტურული საზოგადოების განყოფილებამ ჩანშაში გამოუშვა ჟურნალ „ჩინეთი და სსრ კავშირის“ პირველი ნომერი. ნომერი იწყება გომინდანის უძველესი წევრის, საკანონმდებლო იუანის (პალატის) თავმჯდომარის მოადგილის ტან ჯენის სტატიით ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცების შესახებ.

სამხედრო მოქმედებანი ჩინეთში

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 21 მარტი (საკდესი). შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში დიდი ბრძოლა გრძელდება. ჩინეთის სარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იაპონიის ჯარები განაგრძობენ უკან დახევას ყვითელი მდინარის ჩრდილო ნაპირიდან. მან აღნიშნა, რომ შანსის პროვინციის 105 მაზრიდან იაპონელებმა შესძლეს დაეკავებინათ მხოლოდ 30 მაზრა თავისი საკომუნიკაციო ხაზების გასწვრივ. შანსის პროვინციის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად ჩინელთა კონტროლს ქვეშ იმყოფება. შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებმა დაიკავეს იანჩენი, ხოლო ცენტრში — ჯანძი. ლიჩენსა და ლუჩენს შორის იაპონიის ჯარების დამარცხების შემდეგ იაპონიის სარდლობამ ამ რაიონში გაგზავნა ახალი დამხმარე ძალები ათასი ჯარისკაცის რაოდენობით. მაგრამ იაპონელებს გზაში დახვდნენ ჩინეთის ჯარები. იაპონელებმა ბრძოლის დროს დაჰკარგეს 20-ზე მეტი კაცი. ჩინეთის ჯარების ორმა დიდმა რაზმმა შეტევა დაიწყო იუანპინზე (შანსის პროვინციის ჩრდილო ნაწილი).

ტიანძინ - პუკოუს რკინიგზის ფრონტის მარცხენა ფლანგზე დიდი ოპერაციები დაიწყო. ბრძოლაში ჩაებნენ ჩინეთის ახლად მოსული ჯარები, რომლებიც კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ეს საფრთხეს უქმნის იაპონიის მთელ წინსვლას სამხრეთისაკენ რკინიგზის გასწვრივ.

19 მარტს იაპონიის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს იჯოუს. დანგრეულია სულ მცირე 200 სახლი.

სუიუანის პროვინციაში ჩინელები უტევენ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ამჟამად გუიხუას პროვინციის მთავარი ქალაქიდან ას ათი კილომეტრის მანძილზე იმყოფებიან.

ცენტრალურ ჩინეთში.

ხანკოუ, 21 მარტი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთ უბანზე მცირე ბრძოლა სწარმოებს მდინარეების ხუაიხესა და გოხეს გასწვრივ. ჩინეთის ჯარებმა იაპონელებს რამდენიმე სოფელი წაართვეს. ამ რაიონის დატოვების წინ იაპონელებმა ჩინელთა რამდენიმე ათეული სოფელი გადასწვეს. ჩინელი პარტიზანები კავალერიის რაზმთან ერთად გარს შემოერტყნენ ქალაქ დინიუანს (ბენპუს სამხრეთ-აღმოსავლეთით). გრძელდება ბრძოლა ბენპუს სამხრეთით.

ანხუეის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ბრძოლა სწარმოებს სიუანჩენსა და ლიანს (ტაიხუს ტბის დასავლეთით) შორის. 19 მარტს იაპონელთა კოლონამ, რომელიც 2000 კაცისაგან შესდგებოდა, ტანკებისა და არტილერიის დახმარებით დაიკავა სოფელი ხუნლინძიაო (სიუანჩენის აღმოსავლეთით 24 კილომეტრის მანძილზე). ეს კოლონა გუანდესაკენ (ანხუეის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) მიიწევს.

ცალკეული შეტაკებანი გრძელდება ხუჯოუს გარშემო. სენტრალნიუსის სააგენტო იუწყება, რომ 18 მარტს იაპონელთა რაზმი ცდილობდა მდინარე ძიანტანზე გადასვლას, მაგრამ უკუგდებულ იქნა ჩინელთა ნაწილების მიერ.

1938 წელს კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს სრულიად შეუწყნარებლად მიაჩნია, რომ მთელ რიგ ოლქებს — ჩელიაბინსკის, სვერდლოვსკის, სტალინგრადის, როსტოვის, აგრეთვე უკრაინის სს რესპუბლიკის დონეცის, დნეპროპეტროვსკის, ნიკოლაევსკის, ოდესის ოლქებს, კრასნოდარის, შორეულ-აღმოსავლეთის მხარეებს, ყირიმის ასს რესპუბლიკასა და ზოგიერთ სხვას, რომელთაც სრული შესაძლებლობა აქვთ ადგილობრივი ნათესების ხარჯზე უზრუნველჰყონ თავისი მოთხოვნილებანი სასურსათო და სათესლე კარტოფილის მხრივ, დღემდე სხვა მხარეებიდან, ოლქებიდან და რესპუბლიკებიდან, შემოაქვთ კარტოფილი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საჭიროდ მიაჩნია მოისპოს ოლქიდან ოლქში კარტოფილის გადაზიდვის ეს სრულიად გაუმართლებელი პრაქტიკა და უზრუნველყოფილ იქნას კარტოფილის მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადგილობრივ ნათესთა და დამზადებათა ხარჯზე.

ასეთი შეუწყნარებელი მდგომარეობა იმის შედეგია, რომ სამიწათმოქმედო ორგანოები მეტად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ და ადგილობრივი საბჭოთა, პარტიული ორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ კარტოფილის კულტურის განვითარებას. ამას ადასტურებს ის, რომ კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია (100-120 ცენტნერი არაშავნიადაგიან ზოლში და 45-55 ცენტნერი საბჭოთა კავშირის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ოლქებში).

ითვალისწინებს რა ამას, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. აიკრძალოს, დაწყებული 1939 წლის მოსავლიდან, კარტოფილის ყოველგვარი შეზიდვა რკინიგზით ერთი ოლქიდან მეორე ოლქში.

2. დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს უზრუნველჰყონ შესრულება სსრ კავშირში კარტოფილის თესვის სახელმწიფო გეგმისა, რომელიც 1938 წლისთვის დაწესებულია 6.708,6 ათასი ჰექტარის რაოდენობით, ამასთან ყველა საჭირო ზომები მიიღონ, რათა თესვა უზრუნველყოფილ იქნას კარტოფილის ადგილობრივი რესურსებით.

3. კარტოფილის მაღალი მოსავლიანობის მისაღწევად, მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების შესაბამისად, წინადადება მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) მოაწყონ მუდმივი რგოლები მემინდვრეობის ბრიგადებს შიგნით, რომელთაც აქვთ კარტოფილის ნათესები, და მიამაგრონ მათზე კარტოფილის ნათესი ფართობი მუშაობის მთელი სეზონის განმავლობაში;

ბ) დააწესონ დამატებითი საზღაური რგოლებისათვის ჰექტარზე გეგმის ზევით მიღებულ თითო ტონა კარტოფილში 5-6 შრომადღე;

გ) კარტოფილის თესვა აწარმოონ მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი წინაკულტურების ფართობზე;

დ) შეიტანონ კარტოფილის ნათესებში ნაკელი და სხვა ორგანიული სასუქი არანაკლებ 30-40 ტონისა ჰექტარზე არაშავნიადაგიანი ზოლის რაიონებში და არანაკლებ 15-20 ტონისა სამხრეთ რაიონებში, აგრეთვე გამოიყენონ ყოველი სახის ადგილობრივი სასუქი (ნაცარი, ტორფი და სხვ.);

ე) დასათესად გულდასმით შეარჩიონ მხოლოდმხოლოდ საღი კარტოფილი;

ვ) ფართოდ შემოიღონ კარტოფილის გაახალთესლებული სათესლე მასალის თესვა;

ზ) ჩაატარონ კარტოფილის დათესვა მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში და აუცილებლად დაფარცხონ ახლად აღმოცენებული კარტოფილი, ამასთან აწარმოონ არანაკლებ 3-4 მწკრივთაშორისი დამუშავება გამარგვლითურთ.

თ) კარტოფილის მოსავლის აღების დროს დანაკარგების თავიდან ასაცილებლად უსათუოდ ჩაატარონ მოსავლის აღების შემდგომი ფარცხვა და გადახვნა.

4. ნება დაერთოთ კოლმეურნეობათა გამგეობებს აწარმოონ არტელის წევრთა ნატურალური ავანსირება კარტოფილით, მისი მოსავლის აღების დაწყებიდანვე, აღებული კარტოფილის 10-15 პროცენტის რაოდენობით.

5. დაევალოს მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს (სასოფლო-სამეურნეო მანქანების მთავარსამმართველოს) უზრუნველჰყოს 4.000 კარტოფილსათესი მანქანის გამოშვება და მიწოდება მინდვრის სამუშაოთა სეზონისათვის არაუგვიანეს 1938 წლის 15 მაისისა.

6. სამხრეთის გვალვიან ოლქებში კარტოფილის გადაშენებასთან ბრძოლის მიზნით და საღი სათესი მასალის მისაღებად, 1938 წლისათვის დაწესდეს კარტოფილის საზაფხულო თესვის გეგმა შემდეგი ოდენობით:

აქედან:	
უკრაინის სს რესპუბლიკაში	**— 40.000 ჰექტარი.**
დონეცის ოლქში	— 9.000 ჰექტარი.
დნეპროპეტროვსკის ოლქში	— 10.000 ჰექტარი.
ნიკოლაევსკის ოლქში	— 8.000 ჰექტარი.
ოდესის ოლქში	— 10.000 ჰექტარი.
მოლდავეთის ასს რესპუბლიკაში	— 3.000 ჰექტარი.
რსფს რესპუბლიკაში	**—9.800 ჰექტარი.**
აქედან:	
ორენბურგის ოლქში	— 400 ჰექტარი.
სარატოვის ოლქში	— 900 ჰექტარი.
ვოლგის გერმანელთა ასს რესპუბლიკაში	— 500 ჰექტარი.
სტალინგრადის ოლქში	— 1.800 ჰექტარი.
როსტოვის ოლქში	— 2.000 ჰექტარი.
კრასნოდარის მხარეში	— 1.000 ჰექტარი.
ორჯონიკიძის მხარეში	— 1.200 ჰექტარი.
ყირიმის ასს რესპუბლიკაში	— 1.500 ჰექტარი.

7. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შესრულება კარტოფილის ჯიშიან ნათესთა გეგმისა, რომელიც დაწესებულია სსრკ სახკომსაბჭოს მიერ 1938 წლისათვის, და მოხდეს რაც შეიძლება სწრაფად გადასვლა მთლიან ჯიშიან ნათესებზე:

ა) გამოყენებულ იქნას დასათესად ჯიშიანი კარტოფილის მთელი რესურსები, რომლებიც ადგილებზე მოიპოება, რისთვისაც მოეწყოს უბრალო კარტოფილის საგაზაფხულო კოლმეურნეობათაშორისო გადაცვლა ჯიშიან კარტოფილზე, ჯიშიანი კარტოფილის შესყიდვა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან, აგრეთვე ფართოდ ჩატარდეს ბოლქვების გადარჩევა;

ბ) ჯიშიანი კარტოფილი, რომელიც 1938 წელს იქნება შემოტანილი სხვა ოლქებიდან, დანაწილდეს მხოლოდმხოლოდ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სათესლე ნაკვეთების დასათესად;

გ) დაწესდეს 1938 წლისათვის შემდეგი ჯიშის კარტოფილის შესასყიდი და დასამზადებელი ფასების დანამატები:

სუფრის საადრეო ჯიშები: „საადრეო ვარდისფერი“, „ეპიკური“, ფიტოფტორგამძლე ჯიში №8670, უნივერსალური ჯიში „ლორხი“		ყველა რაიონში.
კიბოგამძლე ჯიშები:	—	უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, კარელიის ასსრ, შორეულ-აღმოსავლეთის მხარის, ლენინგრადისა და კალინინის ოლქების სანაპირო-ზოლის რაიონებში.
ტექნიკური ჯიშები: „ვოლტმანი“, „სილეზია“	—	იაროსლავლის, რიაზანის, გორკის, ორიოლის, ტამბოვის ოლქების, თათართა და ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკების სახამებელ-ბადაგის მრეწველობის ქარხნების ზონებში.
„კორენევსკი“	—	ივანოვოს, იაროსლავლის, კუიბიშევისა და რიაზანის ოლქებში.
„სერპ ი მოლოტი“	—	ტამბოვის ოლქში.

დანამატების ოდენობა დაწესდეს:

პირველი კატეგორიისათვის	დასამზადებელი ფასის 10 პროცენტი და შესასყიდი ფასის 5 პროცენტი.
მეორე კატეგორიისათვის	დასამზადებელი ფასის 5 პროცენტი და შესასყიდი ფასის 3 პროცენტი.

8. დაევალოთ უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, კარელიის ასსრ სახკომსაბჭოებს, შორეულ-აღმოსავლეთის მხარის, ლენინგრადისა და კალინინის ოლქების აღმასკომებს 2-3 წელიწადში უზრუნველჰყონ გადასვლა კიბოგამძლე ჯიშების კარტოფილის მთლიან თესვაზე სანაპირო ზოლის რაიონებში.

სანაპირო ზოლის კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის დაწესდეს სახელმწიფოსთვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შეღავათიანი ნორმები კიბოგამძლე კარტოფილის ნათესებიდან რაიონული ნორმების ნახევრის ოდენობით.

9. დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს არაუგვიანეს 30 მარტისა შეიმუშაონ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეებსა, ოლქებსა და რესპუბლიკებში და 10 აპრილისათვის დანარჩენებში—კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების პრაქტიკული ღონისძიებანი თვითეული რაიონისა და კოლმეურნეობის მიხედვით, განიხილონ ეს ღონისძიებანი კოლმეურნეობებში აგრონომთა მონაწილეობით და უზრუნველჰყონ ყველა შემუშავებული ღონისძიების მთლიანად გატარება.

10. წინადადება მიეცეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ საბჭოთა კონტროლის კომისიას დააწესოს მუდმივი მეთვალყურეობა ამ დადგენილების შესრულებაზე.

დიდ მნიშვნელობას აძლევს რა დასახული ამოცანების გადაჭრას, სსრ კავშირის სახკომსაბჭო ადგილობრივი საბჭოთა ორგანიზაციებისაგან, სამიწათმოქმედო ორგანოებისაგან, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისაგან მოითხოვს ყოველდღიური ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიონ კარტოფილის თესვის, მისი მოვლისა და მოსავლის აღების სამუშაოებს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე—**ვ. მოლოტოვი.**
სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი—
ნ. პეტრუნიჩევი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წ. 19 მარტი.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის ორგანიზაციებს უკეთ ვუხელმძღვანელოთ

(ჭიათურა, „კომუნისტის“ საკ. კორ.)

ჭიათურის რაიონის მეტწილ კომკავშირულ ორგანიზაციებში პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ჩაშლილია. საქ. ალკკ ჭიათურის რაიკომის მდივანი გ. მეგრელიშვილი სუსტად იბრძვის ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ვოროშილოვის სახელობის მაღაროს კომკავშირული ორგანიზაცია, რომელიც მაგალითს უნდა აძლევდეს რაიონის დანარჩენ ორგანიზაციებს, პოლიტსწავლებას ყურადღებას არ აქცევს. პარტისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრის მეცადინეობა აქ ოთხჯერ ჩაიშალა. ორი თვის განმავლობაში პროპაგანდისტი ი. მოდებაძე პოლიტსკოლაში არ გამოცხადებულა. ჩატარებულ მეცადინეობათა ხარისხი მეტად დაბალია, პროპაგანდისტი პოლიტსკოლაში მოუმზადებლად მიდის. კავშირგარეშე ახალგაზრდობა პოლიტსკოლაში ჩაბმული არაა.

კაცხ-ალიეთის სასოფლო ტერიტორიულ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბებულია საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის ძირითადი ეტაპების შემსწავლელი წრე. პროპაგანდისტი ნ. მოდებაძე ავადმყოფობის გამო სამი თვეა პოლიტსკოლაში ვერ ცხადდება. კომკავშირის რაიკომს აზრადაც არ მოსვლია პოლიტწრისთვის სხვა პროპაგანდისტი გამოენახა, ამ ხნის განმავლობაში მეცადინეობა არ შემდგარა.

დიდი კაცხის სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციაში მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. კომკავშირის წევრები: დ. მოდებაძე, ბრეგვაძე, თუთარაშვილი და სხვები სრულიად მოწყვეტილი არიან კომკავშირულ მუშაობას.

მარგანტრესტის გარაჟთან არსებულ კომკავშირულ ორგანიზაციას (პროპაგანდისტი — მოდებაძე, ორგანიზატორი — კუპატაძე), რომელიც 9 წევრს აერთიანებს, პოლიტსკოლის მუშაობა ვერ მოუგვარებია. გარაჟის გამგე ყიფშიძე მათ კრებებისა და მეცადინეობის ჩატარების საშუალებას არ აძლევს.

პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა სრულებით არ სწარმოებს საჩხერის, ხვაშითის და ნავარძეთის კომკავშირულ ორგანიზაციებში. ზოგან პოლიტსკოლები ცუდადაა დაკომპლექტებული, მაგალითად, ვაჭევის კომკავშირულ პოლიტსკოლაში უმაღლესი ცოდნის მასწავლებლები და მეშვიდე კლასის მოწაფეები ერთ წრეში მეცადინეობენ.

კომკავშირის ჭიათურის რაიკომმა ყოველივე ეს იცის, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებისათვის თავს არ იწუხებს. ადგილებზე რაიკომის მუშაკები იშვიათად მიდიან. ბევრ კომკავშირულ ორგანიზაციას რაიკომის დახმარება სულაც არ უგრძვნია.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ საქ. ალკკ ჭიათურის რაიკომის მუშაკები უპასუხისმგებლოდ და უდარდელად ეპყრობიან თავიანთ მოვალეობას.

ფიქრობს თუ არა კომკავშირის რაიკომი აქედან სათანადო დასკვნის გაკეთებას და თუ მას დაავიწყდა, რატომ პარტრაიკომი არ მოაგონებს?

მ. გაფრინდაშვილი.

ტრამვაის პარკის პროფილაქტიკური საამქროს სტახანოვური ბრიგადა ამხ. სტეპანოვის ხელმძღვანელობით რემონტის ყოველდღიურ გეგმას ასრულებს 250 პროცენტით და რემონტიდან უშვებს 3 ვაგონს.
სურათზე: ამხ. სტეპანოვის ბრიგადა სამუშაოზე.
ფოტო კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

კომკავშირიდან უდანაშაულოდ გარიცხულნი

(ზესტაფონი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საქ. ალკკ ც. კ-ის გამსვლელმა კომისიამ, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა ხარაგოულის, ზესტაფონის, ჭიათურის და ჩხარის რაიონებში კომკავშირიდან გარიცხულთა საქმეებზე, დაადასტურა, რომ ამ რაიონებში ხშირი იყო უდანაშაულოდ გარიცხვისა და კომკავშირელთა ბედიბლისადმი ბიუროკრატიული მიდგომის შემთხვევები, მაგრამ რაიონული კომიტეტის მდივნები (დ. წერეთელი, ს. მიქიაშვილი, კ. ზარნაძე, ვ. მაკარიძე და ვ. ბერიძე) ყოველივე ამას უგულებელჰყოფდნენ.

საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი. ხარაგოულის რაიკომის ყოფილმა მდივანმა ამხ. მ. შავიძემ კომკავშირელი ქეთო კიკნაძე კომკავშირიდან გარიცხულად გამოაცხადა ისე, მისი საკითხი არ განუხილავს არც პირველადი ორგანიზაციის კრებას, არც რაიკომის ბიუროს. კიკნაძემ დახმარებისათვის მიმართა რაიკომის ახალ მდივანს ამხ. წერეთელს, მაგრამ წერეთელმა ასეთი პასუხით გაისტუმრა: „შავიძე ახლა დიდი კაცია, მასთან ბრძოლა არ გამოგადგება, დაწერე განცხადება და ჩვენ განვიხილავთო“.

ჭიათურის რაიონის კომკავშირის ორგანიზაციიდან გარიცხეს თინა დევიძე და თინა მესხი. მათ ბრალი დასდეს, რომ პარტრაიკომის ყოფ. მდივანთან იქეიფეთო (რომელიც ამჟამად მხილებულია, როგორც ხალხის მტერი). ეს „ბრალდება“ საკმარისი შეიქნა, რომ კომკავშირული ორგანიზაციიდან გაერიცხათ მესხი და დევიძე. ხოლო თინა დევიძის გარიცხვა რომ უფრო „დასაბუთებული“ ყოფილიყო, ამ ბრალდებას ისიც დაუმატეს, რომ მამა-მისი გადასახლებული იყო 1927 წლიდან 1930 წლამდე.

კ. წერეთელი მამას 1931 წელს გამოეყო და კოლმეურნეობაში შევიდა, ხოლო 1935 წელს გათხოვდა. 1937 წელს მამა-მისი დააპატიმრეს, იმის გამო კ. წერეთელი კომკავშირიდან „სასწრაფოდ“ გარიცხეს და სამსახურიდანაც მოხსნეს.

პ. არაბიძე — აქტიური კომკავშირელი, კოლმეურნე, ყოველთვის კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა კოლმეურნეობის უდარდელ ხელმძღვანელებს, რომლებიც შლიდნენ მუშაობას. რა თქმა უნდა, ეს არ მოსწონდათ კარიერისტებს, უქნარა ადამიანებს, და გადასწყვიტეს მისი თავიდან მოშორება. ბრალი დასდეს „ანტისაბჭოთა ელემენტებთან კავშირში“, გარიცხეს კომკავშირიდან და სამი თვით აუკრძალეს მუშაობა კოლმეურნეობაში(!). ეს არ იკმარეს თავდამხვევებმა ჩხარის რაიონიდან და პ. არაბიძის ძმა, რომელიც ახალი დაბრუნებული იყო წითელი არმიიდან, მოხსნეს სამსახურიდან „მხილებულ ძმასთან კავშირისათვის“.

ასეთივე მიკიბულ-მოკიბული ბრალდებებით გარიცხული არიან კომკავშირიდან: ლ. ფიჩხაძე, დ. ხამილაძე, გ. ტაბატაძე, ქს. ფილაუა, მ. სარალიძე, თ. წერეთელი, დ. თაბუკაშვილი, ა. დევდარიანი, მ. ამაშუკელი და სხვები.

კომისიამ, რომელმაც განიხილა 83 კაცის კომკავშირიდან გარიცხვის საქმე, 74 ამხანაგის გარიცხვა არასწორად ჩასთვალა. ეს იმას ადასტურებს, რომ აღნიშნული რაიონების კომკავშირული ორგანიზაციები და რაიონული კომიტეტები უსულგულოდ, ბიუროკრატიულად უდგებოდნენ კომკავშირელთა საქმის გარჩევას, ხელაღებით ერეკებოდნენ კომკავშირიდან პატიოსან ადამიანებს.

ვ. ბოგიაშვილი

◆

პოლიტდღე სახელმწიფო უნივერსიტეტში

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით თბილისის სახ. უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ 20 მარტს უნივერსიტეტში პოლიტდღე გამართა. პოლიტდღისათვის წინასწარმა მზადებამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა; ათი დღით ადრე იყო გამოცხადებული პოლიტდღის ჩასატარებელი ადგილი და დრო, თვალსაჩინო ადგილებზე დაიდგა ყუთები შეკითხვების ჩასაშვებად და სხვ.

20 მარტს 3 საათზე უნივერსიტეტის კლუბი, სადაც პოლიტდღე ტარდებოდა, სტუდენტებით აივსო. აქ თავი მოიყარეს პროპაგანდისტებმა, აგიტატორებმა, პარტორგებმა, კომკავშირის ორგანიზატორებმა და სხვა აქტივისტმა სტუდენტებმა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებაში.

— რატომ არ იქმნება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში ორი პალატა?

— შეიცვლება თუ არა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისას არსებული საარჩევნო უბნები საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს?

— როგორ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც არჩევნების დღეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში იმყოფება?

პოლიტდღეზე შემოსული იყო 270-მდე საინტერესო შეკითხვა. შეკითხვების ნაწილი შეეხებოდა აგრეთვე ბურჟუაზიული ქვეყნების საარჩევნო სისტემას და საერთაშორისო პოლიტიკის სხვა საკითხებს.

ყველა შემოსულ შეკითხვაზე სწორი და ამომწურავი პასუხი გასცა უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. გ. კიკნაძემ.

სასურველია ხშირად ეწყობოდეს ასეთი პოლიტდღეები.

ა. აბესაძე.
თ. მეზრილიშვილი.

გარდავქმნათ საქნავთის მუშაობა

საქ. კ. პ. (ბ) მე-10 ყრილობის გადაწყვეტილებით საქნავთს 1937 წლის დამლევისათვის უნდა მოეწყო მირზაანის საბადოს საექსპლოატაციოდ გადაცემა, ხოლო მიმდინარე წლის დამდეგიდან დაეწყო გამოკვლეული ფართობების ბაზაზე ნავთის სამრეწველო ექსპლოატაცია, აგრეთვე დაეჩქარებინა ნავთის ახალი რაიონების — ტარიბანის, ნორიო-მარტყოფის, ლელვისწყალის და პატარა შირაქის გამოკვლევა, მაგრამ ყრილობის ეს საბრძოლო დავალება საქნავთმა ვერ შეასრულა.

გასული სამეურნეო წელი საქნავთმა სამარცხვინო გარღვევებით დაამთავრა. გეგმით გათვალისწინებულ 15.000 მეტრის ნაცვლად გაიბურღა მხოლოდ 11.871 მეტრი, რაც დავალების 79,1 პროცენტს არ აღემატება. ბურღვის კომერციული სისწრაფის გეგმა შესრულდა 77,5 პროცენტით. შარშან 13 ჭაბურღილის ნაცვლად დამთავრდა მხოლოდ 10 ჭაბურღილი. აქ ვერც ნავთის ამოღებისა და გადამუშავების გეგმა შეასრულეს მთლიანად.

ეს ჩამორჩენა უმთავრესად იმით არის გამოწვეული, რომ საქნავთის ხელმძღვანელებმა ჯერ კიდევ ვერ გარდაჰქმნეს მუშაობა ახალ ამოცანებთან შეფარდებით. ისინი ვერ ახორციელებენ ცალკეული საბადოების მიმართ ყოველდღიურ ოპერატიულ-კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას, შრომის მოწესრიგებას და ძირეული უბნების შერჩეული, კვალიფიციური კადრებით გამაგრებას.

შარშან ბურღვაზე მთელი სამუშაო დროის მხოლოდ 39,5 პროცენტი დაიხარჯა, ხოლო გაცდენები, რაც ორგანიზაციული საკითხების მოუწესრიგებლობამ გამოიწვია (როგორიცაა მუშა-ხელის სიმცირე, მასალებისა და იარაღ-მანქანების ნაკლებობა, გაუთვალისწინებელი რემონტი, სამუშაოთა გართულება და სხვ.), მთელი სამუშაო დროის 41 პროცენტს აღემატებოდა.

საჭირო იყო საქნავთის ხელმძღვანელებს გასული წლის გაკვეთილებიდან ჯეროვანი დასკვნები გამოეტანათ, გამოესწორებინათ წარსული ნაკლოვანებანი და მომზადებულად შეხვედროდნენ ახალ სამეურნეო წელს, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ სჩანს. ისინი კვლავ განაგრძობენ ძველი წესით მუშაობას და ამით ბურღვისა და ნავთის ამოღება-გადამუშავების გეგმების შესრულებას აშკარა ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებენ.

მიმდინარე წელს საქნავთმა უნდა გაბურღოს 30.000 მეტრი, ანუ ორჯერ მეტი, ვიდრე შარშანდელი გეგმა ითვალისწინებდა. იანვრის ბურღვის გეგმა აქ მხოლოდ 73,8 პროცენტით შესრულდა, თებერვლისა კი — 22,2 პროცენტით. ამ ორი თვის განმავლობაში გაიბურღა სულ 1.165 მეტრი, რაც წლიური გეგმის 3,8 პროცენტს უდრის. იანვრისა და თებერვლის გეგმა ითვალისწინებდა ორი ახალი ჭის ბურღვის დაწყებას და ორი ჭაბურღილის დამთავრებას. ამ სამუშაოებისათვის ფაქტიურად აქ ჯერ ხელიც არ უხლიათ.

იანვარში საწარმოო დრო მთელი სამუშაო დროს 51,7 პროცენტს არ აღემატებოდა, თებერვალში კი იგი 43,3 პროცენტამდე შემცირდა. მარტში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამ თვის გეგმა ითვალისწინებს 2.666 მეტრის გაბურღვას. პირველი მარტიდან 8 მარტამდე აქედან გაიბურღა მხოლოდ 111 მეტრი, ანუ გეგმის 4,5 პროცენტი. თვიური დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა იბურღებოდეს დღეში არანაკლებ 89 მეტრისა, რაც სისტემატურად არ სრულდება.

საქნავთი განიცდის ტრანსპორტის სიმცირეს, მაგრამ ამ მხრივ არც ის საშუალებებია წესიერად გამოყენებული, რაც მის განკარგულებაშია. ეს კი აფერხებს წნორის რკინიგზის სადგურიდან და წითელ-წყაროდან ნავთის საბადოებამდე კოშკების მშენებლობისათვის საჭირო მასალისა და მოწყობილობის გადაზიდვას.

სარეწაოებზე არც შრომის დისციპლინაა განმტკიცებული. ადგილი აქვს გაუპიროვნებას, რასაც თანსდევს ხშირი გაცდენები, დამხმარე მასალის ზედმეტი ხარჯვა, განკარგულებათა შეუსრულებლობა, თვითღირებულების ზრდა და საწარმოო გეგმების ჩაშლა.

ჭაბურღილ № 70-ში თვენახევარია ბურღვა არ სწარმოებს. ბურღვის შეფერხება იმან გამოიწვია, რომ ინჟ. პ. სიომინმა არ დაიცვა მუშაობის ტექნიკური წესები. სარინი მილის კაუჭის ჭაში ჩაშვების დროს ბრუნვის ზედმეტი სისწრაფე განავითარეს, რის შედეგად მილი დაზიანდა. ჭაბურღილ № 63-ის მბურღავმა ა. მამაშვილმა ტექნიკური წესების დარღვევის შედეგად ჭიდან იარაღების ამოღების დროს გასწყვიტა ბაგირი, რამაც გამოიწვია ბურღვის შეჩერება 24 საათით.

ბურღვის შეფერხება და ხშირი გაცდენები ცუდ საწარმოო დისციპლინასთან ერთად ხშირად ტექნიკური საკითხების მოუწესრიგებლობის მიზეზიცაა. მაგალითად, ჭაბურღილი № 15, რომელიც პატარა-შირაქშია დადგმული, იანვარსა და თებერვალში ტექნიკური დაბრკოლებებით 550 სამუშაო საათს მოცდა. ამ ორ თვეში აქ გეგმით გათვალისწინებული 950 მეტრის ნაცვლად მხოლოდ 535 მეტრი გაიბურღა. ამ ჭაბურღილზე ზეთის მოუმარაგებლობით 23, 24 და 25 თებერვალს არ სწარმოებდა ბურღვა. ზეთი რომ მიაწოდეს, შემდეგ მუშაობა სატეხისა და საბურღი იარაღების უქონლობით შეჩერდა. მარტის პირველ რიცხვებში ესეც მიაწოდეს, მაგრამ მუშაობა შემდეგ წყლის მიუწოდებლობამ შეაფერხა და ამ მიზეზით აქ ბურღვა პირველიდან 10 მარტამდე სავსებით შეჩერებული იყო. მსგავს ფაქტებს ვხვდებით სხვა ჭაბურღილებზედაც.

ამჟამად საქნავთის საბადოებში 65 ისეთი ჭაბურღილია, რომლებიც მცირეოდენი შეკეთების შემდეგ მოგვცემენ ნავთის ძლიერ შადრევნებს. საქნავთში „უკვე გამოკვლეულ ფართობთა ბაზაზე არის შესაძლებლობა გაიშალოს დღეღამეში 1.000-მდე ტონის ამოღება“ (ლ. ბერია), მაგრამ ამ სერიოზული ოპერაციისათვის აქ მომზადებული არ არიან. არ არის რეზერვუარები, ჭაბურღილებიდან ამოსული ნავთი მიწის ორმოებშია დაგროვებული. აღმაშფოთებელი ის არის, რომ ნავთის დასაგროვებლად აქ არც მიწის ორმოებია მომზადებული საკმარისად. ამის გამო დღეღამეში რამდენიმე ათეული ტონა ნავთი ორმოებიდან მიწაში იჟონება და იკარგება. ნუთუ საქნავთის ხელმძღვანელებს და კერძოდ მის მმართველს ამხ. სავკინს არ შეეძლოთ, ვიდრე ლითონის რეზერვუარები დაიდგმებოდეს, გაეფართოვებინათ და ისე მოეწყოთ მიწის ორმოები, რომ ადგილი არ ჰქონოდა ნავთის დანაკარგებს? ეს შესაძლო იყო, მაგრამ, როგორც სჩანს, მათ გული არ შესტკივათ ამ საქმისათვის.

ამჟამად მირზაანში აგებენ რეზერვუარს 3.500 ტონის მოცულობით. ეს რეზერვუარი იმ ნავთის ერთ მეოთხედსაც ვერ დაიტევს, რაც წელს ჭაბურღილებიდან თავისთავად ამოვა.

არ სრულდება ნავთის ამოღებისა და გადამუშავების გეგმა. ჭურჭლის უქონლობისა და სხვა მთელი რიგი საკითხების მოუწესრიგებლობის გამო მოწყობილი არ არის ნავთის მექანიკური წესით ამოღება. მიმდინარე წლის იანვარსა და თებერვალში გეგმით გათვალისწინებულ 2.480 ტონის ნაცვლად შირაქსა და მირზაანში ამოღებულ იქნა მხოლოდ 1.321 ტონა ნავთი ანუ დავალების 53,5 პროცენტი.

მირზაანის ნავთის გადამმუშავებელმა ქარხანამ იანვარსა და თებერვალში მხოლოდ 11 დღე იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მან გეგმით გათვალისწინებული 1.030 ტონის ნაცვლად გადაამუშავა მხოლოდ 140 ტონა ნავთი.

გეგმის მიხედვით წელს უნდა მოხდეს ნავთის გადამმუშავებელი ქარხნის სრული რეკონსტრუქცია. მისი გამტარუნარიანობა დღეღამეში 17 ტონიდან 100 ტონამდე უნდა გაიზარდოს. ქარხნის გაფართოება დავალებული აქვს „აზნავთკომბინატს“, რომელიც პრაქტიკულ მუშაობას ამ მხრივ რამდენიმე დღის წინათ შეუდგა, მაგრამ მშენებლობა ისევ მოუმარაგებელია მოწყობილობითა და სხვა საჭირო მასალით.

* * *

ცუდად მუშაობენ საქნავთის პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები. პარტიული ძალები სწორად არ არის განაწილებული ცალკეულ სარეწაოებზე. სარეწაოთა პარტიული კომიტეტი და კერძოდ მისი მდივანი ამხ. მღვდელაძე ნაკლებად არიან დაინტერესებულნი საწარმოო საკითხებით. არ ეწევიან მუშათა და სპეციალისტთა შორის მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას გეგმების შესრულებაში არსებული სამარცხვინო გარღვევებისათვის თავის დასაღწევად.

უყურადღებოდაა მიტოვებული საწარმოო თათბირების მუშაობა, მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მთელი რიგი საქმიანი წინადადებები გაუტარებელია; ცალკეულ სარეწაოებს, ჭაბურღილებს, ცვლებს, ბრიგადებსა და მუშებს შორის არ არის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება, არ არის გაშლილი სტახანოვური მოძრაობა, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტექნიკურ სწავლებას.

ნავთის ახალი რაიონები, როგორიცაა: მარტყოფი, ლელვისწყალი, სუფსა და სხვ., მოკლებული არიან საქნავთის ხელმძღვანელობას. აქაური ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები იშვიათად დადიან ნავთის ახალ რაიონებში და არ იცნობენ მათ მუშაობას.

ნავთის მუშაკთა სრულიად-საკავშირო თათბირზე, რომელიც ახლახან შესდგა ბაქოში, ამხანაგმა ლ. კაგანოვიჩმა საქნავთის მუშაკებს მისცა დავალება საძიებელ სამუშაოებთან ერთად მიმდინარე წელს ფართოდ გაშალონ ნავთის ექსპლოატაციის საქმე. ამ საბრძოლო დავალების ბოლშევიკურად შესრულება საქნავთის მთელი კოლექტივისაგან მოითხოვს მუშაობისა და ხელმძღვანელობის ახლებურად მოწყობას, ბურღვისა და ნავთის ამოღება-გადამუშავების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ გამოსწორებას, მავნებლობის შედეგების სწრაფი ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გაძლიერებას.

ტ. აცანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგაზაფხულო სამუშაოები

სტახანოველ უშა ახუბას ვალდებულება

ოჩამჩირი, 21 მარტი. ქილოურის სოფლსაბჭოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა სტახანოველმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. უშა ახუბამ იკისრა ვალდებულება მიაღწიოს 1938 წელს ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალს.

ამხ. უშა ახუბა მიზნად ისახავს ჰექტარზე მიიღოს თავისი ბრიგადით არანაკლებ 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთლისა, ნაცვლად 1000-1500 კგრ., რაც შეგროვილი იყო შარშან.

უკვე შემუშავებულია აგროტექნიკურ ღონისძიებათა დაწვრილებითი გეგმა, რომელსაც განახორციელებს ბრიგადა ამ უბანზე, ზუსტად დადგენილ ვადებში ნიადაგში შეტანილი იქნება 45 ტონა ორგანიული სასუქი, მასთან ნიადაგი გადახნული იქნება 20 სანტიმეტრის სიღრმეზე. შეტანილი იქნება აგრეთვე მინერალური სასუქები საჭირო რაოდენობით.

ჩაის ბუჩქების შემოჭრას და გაფორმებას ჩაატარებს თვითონ ამხ. უშა ახუბა.

ამხ. ახუბამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ოქუმის სოფლსაბჭოს (გალის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ამხ. დუშა კვაჭახია.

ჩაის მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში უნდა ჩაებას ზემოხსენებულ კოლმეურნეობათა ყველა საკოლმეურნეო ბრიგადა, ყველა კოლმეურნე.

ხულოს რაიონში კვლავ დაუშვებელი ჩამორჩენა

ბათუმი, (საქდესი). რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში კვლავ დაუშვებელი ჩამორჩენაა, სასოფლო საბჭოები, უბნის აგრონომები და რაიმიწგანი კვლავ ძველებურად განაგრძობენ მუშაობას. მათ ჯერ კიდევ ვერ დარაზმეს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები საგაზაფხულო თესვის მზადებაში არსებულ ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის.

ჭვანის, წყლისსაყარისა და შუბანის სასოფლო საბჭოებში დაუმთავრებელია სასოფლო სამ. იარაღ-მანქანების შეკეთება.

განსაკუთრებით დიდ ჩამორჩენას აქვს ადგილი თამბაქოს სათბურების მომზადების საქმეში. რაიონის კოლმეურნეობების სათბურები შეწამლული არ არის. რაიმიწგანის აგროპერსონალი მიწგანის კაბინეტში ლაპარაკით ირთობდა თავს მაშინ, როცა თესვისათვის მზადების ხელსაყრელი ამინდები იდგა.

მთელ რიგ სასოფლო საბჭოებსა და კოლმეურნეობებს (შუახევის, ყარადერეს, ყინჩაურის, ლორჯომის, ციხაძირის) გამწევი ძალა ჯერ კიდევ არ გადაუყვანიათ გაძლიერებულ კვებაზე.

სოფლმომარაგების ხულოს განყოფილება (გამგე ბოლქვაძე) რაიონს ვერ უწევს სათანადო მომსახურებას საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საქმეში. თამბაქოს სათბურებისათვის საჭირო 3.500 კვად. მეტრი მინიდან შემოზიდულია მხოლოდ 1000 კვადრ. მეტრი მინა. არც სათბურებისათვის საჭირო ჭილობებია შემოზიდული.

რაიონის პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციებს ამ მხრივ ჰმართებს საჭირო დასკვნების გაკეთება.

საქმე ადგილიდან არ იძვრის

ზესტაფონი, (საქდესი). არგვეთის საბჭოთა მეურნეობაში მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი. წინასაგაზაფხულო სამუშაოთა მომზადების მხრივ ამ მეურნეობაში საგანგაშო მდგომარეობაა.

საქ. კ. პ. (ბ) ზესტაფონის რაიკომის ბიურომ განიხილა მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და მთელი რიგი ღონისძიებანი დაუსახა, მაგრამ ამ ღონისძიებათა გატარებისათვის მუშაობა მეურნეობის დირექციას და პირველად პარტიულ ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ გაუშლიათ.

მეურნეობას შესაძენი აქვს 40.000 ცალი ჭიგო, 2.100 ტონა საჭირო სასუქიდან ადგილზე მიტანილია მხოლოდ 500 ტონა,—ფართობზე სასუქის გატანის საშემოდგომო გეგმა ჩაიშალა და საგაზაფხულო გეგმის ანგარიშში გატანილი არ არის არცერთი ტონა.

მუშა-გამწევი ძალის მოვლა-პატრონობას სათანადო ყურადღება არ ექცევა. თავლა მოუწყობელია, ცხენების და ხარ-კამეჩის საკვები არა აქვთ, 17 ცხენიდან საგაზაფხულო სამუშაოებზე გამოსადეგია მხოლოდ 4 ცხენი.

შესაძენია 12 კულტივატორი, 30 ვერმორელის აპარატი, ერთი ტონა ვენახის სახვევი მასალა, 4 ტონა მავთული და სხვ.

სამტრესტი ვერ ამარაგებს არგვეთის მეურნეობას, ხშირად ჭიანურდება ხოლმე კრედიტების დაშვებაც, მაგრამ ისიც არ კეთდება, რაც მეურნეობის ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

მუშათა საცხოვრებელი ბინები ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, მეურნეობას არა აქვს შეშა, რის გამოც სწვავენ ფიცრებს, ჭიგოებს და გულშემატკივარი არავინ სჩანს. მეურნეობის ღობეები და გზები გაფუჭებულია, არც ბოგირებია შეკეთებული.

მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა შორის, განსაკუთრებით კი რუს მუშებში, კულტურულ-მასობრივი და საავიტაციო მუშაობა არ სწარმოებს. პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირის ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ.

დირექტორი ადამია უდანაშაულოდ ხსნის პარტიის წევრებს სამუშაოდან, მაგ. მან მოხსნა პარტიის წევრი სალაძე ვითომდა მას გაეფლანგოს 2.000 მანეთი. მეორე დღეს გამოირკვა, რომ მასზე არაფერი არ ირიცხება.

მეურნეობას გეგმები შესრულებული არა აქვს, გაზაფხული კი კარს მოგვადგა. საჭიროა მეურნეობის დირექციამ მიიღოს სასწრაფო ზომები ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. ამავე დროს მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საქ. საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა არგვეთის მეურნეობას.

სას.-სამ. არტელის წესდებას ამახინჯებენ

(წერილი ვანის რაიონიდან)

სას.-სამ. არტელის სტალინური წესდების მტკიცედ გატარება კოლმეურნეობათა შემდგომი სამეურნეო ორგანიზაციული და პოლიტიკური განმტკიცების ძირითადი პირობაა. ამ მიმართულებით ვანის რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოები სისტემატურად არ მუშაობენ. არის ფაქტები წესდების უხეშად დამახინჯებისა, რაც მტს-ის და მიწგანის მუშაკებისათვის შეუმჩნეველი რჩება.

სოფ. ქვედა ვანის კოლმეურნეობა „განთიადში“ მთისძირის — ვოროშილოვის და ჭყვისის — ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობებში წევრებს დღემდე არა აქვთ მიცემული მიმდინარე წლისათვის შრომის წიგნაკები. ამიტომ მიმდინარე წლის იანვრიდან გამომუშავებული შრომადღეები ჩაწერილი არ არის შრომის წიგნაკებში. გარდა ამისა, აღნიშნულ კოლმეურნეობებში მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილების წინ არ შეუმოწმებიათ კოლმეურნეებისათვის შრომადღეების დარიცხვის სისწორე. არის შემთხვევები, როდესაც კოლმეურნის პირად ანგარიშში ჩაწერილი შრომადღეები არ უდრის ბრიგადირის მიერ წარმოდგენილ უწყისებში ნაჩვენებ შრომადღეებს.

კოლმეურნეთა პირად ანგარიშებში შრომადღეების ჩაწერა სწარმოებს თვეში ერთხელ, ნაცვლად იმისა, რომ კვირაში ერთხელ მაინც იქნეს ჩაწერილი. ბრიგადირების მიერ გამგეობაში წარმოდგენილი უწყისები (ფორმა № 25) ხელმოუწერელია.

აღნიშნულ კოლმეურნეობებში საერთო კრებებზე დღემდე არ განუხილავთ და არ დაუმტკიცებიათ სამუშაოთა გამომუშავების ნორმები. რაიმიწგანის და მტს-ის მიერ საორიენტირო გამომუშავების ნორმები დამუშავებულია ჯერ კიდევ თებერვლის შუა რიცხვებში სპეციალისტებთან ერთად, მაგრამ ისინი არ დაუყვანიათ ადგილებამდე და არ დაუზუსტებიათ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

მოსავლისა და შემოსავლის საბოლოო განაწილების საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩენილია სოფ. მთისძირის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა.

ამას გარდა, სას.-სამ. არტელის წესდების მე-15 მუხლის ის ნაწილი, რომელიც მოითხოვს კარგი და ცუდი მუშაობისათვის საშუალო საკოლმეურნეო მოსავლიანობის მიხედვით ბრიგადების დაჯილდოვება-დაჯარიმებას, ყველგან არ ტარდება მტკიცედ. მაგალითად, სოფ. ქვედა ვანის კოლმეურნეობა „განთიადში“ მე-3 და მე-6 ბრიგადები დაჯილდოვებული არიან საშუალო საკოლმეურნეო მოსავლის გადაჭარბებისათვის, იმ ბრიგადებისათვის კი, რომელთაც ცუდი მუშაობის შედეგად საშუალო საკოლმეურნეო მოსავალზე ნაკლები მიიღეს, შრომადღეები არ ჩამოუკლიათ, ხოლო, სოფ. მთისძირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში პირველი ბრიგადა მეორე ბრიგადის ხარჯზე დააჯილდოვეს.

არის მთელი რიგი შემთხვევები საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევისა. კოლმეურნეობა „განთიადში“ საერთო კრებაზე (ოქმი № 5) კოლმეურნეობიდან გარიცხულ იქნა ზურკაძე იმ მიზეზით, რომ არ გამოდიოდა სამუშაოზე. საერთო კრების ოქმში კი აღნიშნული არ არის, თუ რამდენმა წევრმა მისცა ხმა მის გარიცხვას.

სოფ. მთისძირის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში წევრთა საერთო კრების ოქმში სრულიად არ იწერება დამსწრეთა რაოდენობა, არამედ აღნიშნავენ „კრებას დაესწრო უმრავლესობა“ და შემდეგ ნაჩვენებია პროცენტები.

რაიონში საჭირო ყურადღება არ ექცევა საკოლმეურნეო პირუტყვის პროდუქტიულობის გაუმჯობესებას. კოლმეურნეობა „განთიადში“ მერძეობის ფერმის ძროხების წველადობა ძლიერ დაბალია. შარშან თვითეული ძროხის საშუალო წლიური წველადობა 290 ლიტრს არ აღემატებოდა. უძროხობის ლიკვიდაციის საქმეში კოლმეურნეობის გამგეობა სრულ უმოქმედობას იჩენს. 309 მეურნიდან 69-ს ძროხა არა ჰყავს. კოლმეურნეობას შარშან საწარმოო გეგმით არ გაუთვალისწინებია ფერმიდან კოლმეურნეობის უძროხო წევრებზე ხბოების გაცემა-მიყიდვა, აგრეთვე საფურე ხბოების კონტრაქტაცია უძროხობის ლიკვიდაციისათვის.

ყოველივე ეს ავალებს რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ გამოასწორონ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებანი, უზრუნველჰყონ კოლმეურნეობები უკეთესი ხელმძღვანელობითა და ყოველდღიური დახმარებით.

შ. მახარაძე.

სსრკ-ს საგარეო ვაჭრობა 1937 წ.

აქტიური სავაჭრო ბალანსი.

საბაჟოს მთავარმა სამმართველომ შეაჯამა სსრ კავშირის 1937 წლის საგარეო ვაჭრობის შედეგები. საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის საერთო ბრუნვა 1937 წლისათვის შეადგენს 3.069,9 მილიონ მანეთს, ანუ 358.3 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე 1936 წელს.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვის საერთო თანხიდან გასული წლის ექსპორტი შეადგენს 1728,6 მილიონ მანეთს, იმპორტი კი—1.341,3 მილიონ მანეთს. ამრიგად სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობას გასულ წელს ჰქონდა სავაჭრო ბალანსის აქტიური სალდო 387,3 მილიონი მანეთის რაოდენობით.

1937 წელს სსრ კავშირიდან გატანილია 436,4 მილიონი მანეთის ხე-ტყის მასალა. ეს 78 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1936 წელს იყო. ხორბალი გასულ წელს გატანილია 257,6 მილიონი მანეთისა, ანუ 221,7 მილიონი მანეთით მეტისა ვიდრე 1936 წელს.

სამრეწველო საქონლის გატანა 1937 წელს წინა წელთან შედარებით 97,3 მილიონი მანეთით გაიზარდა. სსრ კავშირში ნავთის ამოღებისა და გადამუშავების უდიდესი ზრდის მიუხედავად, რამოდენიმედ შემცირდა ნავთის პროდუქტების გატანა. თუ 1936 წელს ეს პროდუქტები გატანილი იყო 168,8 მილიონი მანეთისა, 1937 წელს მათი ექსპორტი 10,7 მილიონი მანეთით შემცირდა. შემცირება იმით აიხსნება, რომ ძალიან გაიზარდა ნავთის პროდუქტების მოთხოვნილება საავტომობილო და სატრაქტორო მეურნეობის მხრივ, რომელიც მეტად სწრაფად ვითარდება საბჭოთა კავშირში.

სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიურმა დამოუკიდებლობამ საშუალება მოგვცა შეგვემცირებინა იმპორტი და დავკმაყოფილებულიყავით მხოლოდ ტექნიკურად უახლესი მოწყობილობის, სხვადასხვა ახალ გამოგონებათა და ზოგიერთი დეფიციტური ნედლეულის (კაუჩუკი, ჯუტი, მანილის ქერელი, ყავა, კაკაო და სხვ). შესყიდვით. ამის შედეგად 1937 წელს 1936 წელთან შედარებით იმპორტი შემცირდა მანქანების ხაზით 132 მილიონი მანეთით, ანუ 32,9 პროცენტით, შავი ლითონების ხაზით—13,1 მილიონი მანეთით, ანუ 13,3 პროცენტით, ქიმიური პროდუქტების ხაზით — 9,5 მილ. მანეთით, ანუ 39,7 პროცენტით და ა. შ.

სსრკ სავაჭრო ბრუნვაში 1937 წელს პირველი ადგილი უჭირავს, ისევე როგორც 1936 წელს, დიდ ბრიტანეთს, მეორე—ამერიკის შეერთებულ შტატებს. (საქდესი).



ქალ. ვოროშილოვგრადის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხანა წელს უშვებს მძლავრ, 300 ცხენის-ძალიან ორთქლმავლებს „ფდ“ ტენდერ-კონდენსატორით.
სურათზე: ორთქლმავალ „ფდ“-ის ახალი ტენდერი გამოცდის წინ.

„სოიუზფოტო“

ოვანეს თუმანიანი

ოვ. თუმანიანი

საქართველოს პოეტებს

არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მქლედ და დუნეთა,
მის ამაყ აჩრდილს დღეს თქვენც მიჰყვებით,
ვერა გძლევთ ტანჯვა საუკუნეთა.

ახალმა ხელმა ცამდე აღმართა
ძველი ლოცვები ხანგადასული
და საქართველომ კვლავ გაამართლა
მშვენიერება უკვდავი სულის.

თანამოძმენო! სალამი თქვენდა,
პოეზიაში წვა გერგოთ ხვედრად,
და არარატმა, როგორც ლეგენდა,
გული გაიპო თქვენს შესახვედრად.

შემოღამების მიმქრალი შუქი
დე, შეუერთდეს ჯანსაღ განთიადს,
აინთოს ძმათა ორი პატრუქი,
გზა გაუნათოს სიხარულს ზვიადს.

დე, ჩვენი ლექსის ნაზ ცისარტყელამ
მოსპოს ვერაგთა სისინი მტრული,
დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას,
ბედნიერებით გადაზღაპრული.

კავკასიონის ჭაღარა ერებს
ჩვენ მოვუწოდებთ საერთო ლხინზე.
ჩემი ქამანჩაც ტკბილად იმღერებს
თქვენი მგოსნების შემოძახილზე.

დავრჩეთ, ქურუმნო, ძმად და მეგობრად.
შევქმნათ ოჯახი ამხანაგური,
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად
ყველამ მივზიდოთ თითო აგური.

დღეს ხალხი სისხლით თუმც იწურება,
ეს დაგვრჩეს მაინც ძველ გაკვეთილად:
რომ ერთი ერის უბედურება
ვერ გადიქცევა სხვისთვის კეთილად.

მაშ რუსთველურად დავკრათ ჩანგს ხელი,
თავში მოვექცეთ მსოფლიო კიბეს,—
ვიყოთ გულუხვი, გვწამდეს სახელი,
ვინც დარდიმანდობს, ვერ ილარიბებს!

ვის შეუძლიან, რომ გადაგვთელოს,
ჩვენს სულში ღმერთი არ იწვის განა?—
დე, იგრძნოს ყველამ, რომ საქართველო
არის მგოსანთა წმინდა ქვეყანა!

არა! რუსთველის ოქროს სიტყვები
როდი ხმაურობს მქლედ და დუნეთა.
მის ამაყ აჩრდილს დღეს ჩვენც მივყვებით,
ვერა გვძლევს ტანჯვა საუკუნეთა.

თარგმანი **ი. გრიშაშვილისა**

1919 წ.

კულტმასობრივი მუშაობა ჩაშლილია

მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკაში 500-ზე მეტი მუშა მუშაობს. მათ შორის კულტმასობრივი მუშაობა მივიწყებულია, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

აქ ჩაშლილია საკლუბო მუშაობა. სამ თვეზე მეტია, არ გამართულა საღამო-წარმოდგენა, მუშებს არ უნახავთ კინო-სურათი, არ ტარდება ლექციები. სუსტია თვითმოქმედი წრეების მუშაობაც. ისინი მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. ფაბრიკაში მომუშავე ახალგაზრდობა სავსებით მოკლებულია ფიზკულტურულ აღზრდას. ამ საქმისათვის აქ თავს არავინ იწუხებს.

ფაბრიკის კლუბთან არსებობს სიმებიანი ორკესტრი, მაგრამ ორკესტრის ინვენტარი მოთავსებულია ისეთ შენობაში, სადაც წვიმა თავისუფლად ჩამოდის, აზიანებს კედლებს და აფუჭებს ინსტრუმენტსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფაბრიკის დირექცია რადიომექანიკოსს თვიურად 300 მანეთს აძლევს, მაგრამ რას აკეთებს იგი, ამაზე არავინ ფიქრობს. დიდიხანია მას შემდეგ, რაც რადიომიმღები აპარატი დაზიანებულია, მაგრამ „მექანიკოსს“ მის შეკეთებაზე არ უზრუნია.

ფაბრიკაში კულტმუშაკად მოიყვანეს ამხ. ბ. აბაშიძე, მაგრამ იგი საამქროში გაგზავნეს ფიზიკურ სამუშაოზე ვითომ მისი „შტატი გაუქმდაო“. ასეთ დიდ წარმოებას აუცილებლად უნდა ჰყავდეს განთავისუფლებული კულტმუშაკი, უამისოდ კულტურული მუშაობა სათანადო დონეზე ვერ დადგება. მაგრამ ამაზე დირექცია და პროფორგანიზაცია სრულებით არ ზრუნავენ.

დროა ბოლო მოეღოს კულტმასობრივი მუშაობის ასეთ შეუფასებლობას.

პ. შარიქაძე, ა. ტაბატაძე, შ. შარიქაძე.

ერ. ასტვაცატუროვი

ოვანეს თუმანიანი

თხუთმეტი წლის წინათ გარდაიცვალა გამოჩენილი სომეხი მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე ოვ. თუმანიანი. ოვ. თუმანიანი იყო ახალი სომხური ლიტერატურის ერთი უდიდესი წარმომადგენელი, რომლის ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოუკლებლივ შევიდა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ინტელექტური კულტურის საუნჯეში.

ოვ. თუმანიანი არის სომხეთის აკაკი წერეთელი, იშვიათია მეორე მწერალი, რომელიც ისეთი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდეს სომეხ ხალხში, როგორითაც სარგებლობს ოვ. თუმანიანი. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პოეტი შემოქმედებითს ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე ახლოს მივიდა ხალხთან და თავისი პოეტური ჰანგები მჭიდროდ დაუკავშირა ამ ხალხის სულიერ განცდებს; მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელი ათეული წლებიდან 1923 წლის დასაწყისამდე დაუღალავად და უმწიკვლო სიყვარულით ემსახურებოდა იგი თავისი ხალხის პოლიტიკური და ეკონომიური კეთილდღეობის საქმეს.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე მწერლობის გავლენით სომხურ მწერლობაში იწყება ბრძოლა ახალი ლიტერატურისათვის, ლიტერატურაში ხალხისათვის გასაგები ენის განმტკიცებისათვის. ამ ბრძოლამ თან მოიტანა ახალი ლიტერატურული მოტივები. ამ პერიოდიდან სომხურ მწერლობაში ვხვდებით განსაკუთრებულ ინტერესს ხალხის მასის ყოფისა და სომხეთის ეროვნული ბედისადმი. თვით რომანტიკული სკოლის საუკეთესო წარმომადგენლები თავიანთ მხატვრულ საღებავებს გლეხობის ცხოვრების ასახვასა და მომავალი სომხეთის იდეალიზაციას ახმარდნენ. მეორე ნახევარში რუსი სამოციანელების გავლენით ფეხს იკიდებს დემოკრატიზმის ელემენტები, ძლიერდება ეროვნული პრობლემის გაშუქება. საუკუნის დასასრულის მხატვრული ლიტერატურისათვის კი განსაკუთრებით დამახასიათებელია ჭარბი ჰუმანიზმი. ეს უკანასკნელი იყო შინაგანი მარეგულირებელი ძალა ოვ. თუმანიანის შემოქმედებისა, მისი მსოფლშეგრძნობისა და მოტივებისა.

ოვ. თუმანიანის, ისევე, როგორც ზოგიერთი მისი თანამედროვის, ჰუმანიზმს ორიგინალური ფესვები და ბუნება გააჩნია. მასში აუცილებლად არის დასავლური ჰუმანიზმის ელემენტები, მაგრამ თუმანიანის პოეზიის მთავარი მასაზრდოებელი წყარო იყო სომეხი ხალხის ყოფის თავისებურება, ხალხური პოეზიის საუნჯე. ჰუმანიზმი, პოეტური გამოსახვის სისადავე, მუსიკალური სიძლიერე. მხატვრული ფერადოვნება და აზრობრივი სიღრმე არის სომხური ფოლკლორის ის ღირსებანი, საიდანაც სათავეს იღებს ოვ. თუმანიანის შესანიშნავი პოეზია და პროზა. ხალხური შემოქმედება აძლევდა დაუშრეტელ საზრდოს პოეტის საზოგადოებრივ ხედვას, მის სიახლოვეს რეალურ სინამდვილესთან. თვით რეალიზმი თუმანიანის პოეზიისა შემუშავებულია ფოლკლორის საფუძველზე. ამიტომ თუმანიანის პოეტური მეტყველების სტილი, რიტმი, ინტონაცია და მოვლენათა მხატვრული გააზრების ხერხები ნაციონალური წარმოშობისანი არიან. მაგრამ ის, რაც მწერალმა ხალხიდან აიღო, ლიტერატურულ ხარისხში აიყვანა და მოგვცა მაღალი პოეტური კულტურის ნიმუშები, როგორც დიდმა კლასიკოსმა.

ოვ. თუმანიანი გარკვეული ეპოქის შვილი იყო. იგი, როგორც რეალისტი, დაინტერესებული იყო თავისი ეპოქის აქტუალური პრობლემებით და რეალური სინამდვილის უშუალო ასახვით. მისთვის უცხო იყო განყენებულობა, რიტორიკა, დაუსრულებელი ნავარდი შეუცნობ სამყაროში. მართალია, პოეტი ძალიან გატაცებული იყო ლეგენდებით, მაგრამ ამ ლეგენდებშიაც ის ძირითადად რეალისტად რჩებოდა და გვიჩვენებდა თავისი თანამედროვე სომხეთის სოფლის ცხოვრების ზოგიერთ არსებითს მხარეს და იმ მავნე ტრადიციების ელემენტებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვები კულტურულად ჩამორჩენილ მოსახლეობაში. ლეგენდებს პოეტი ლიტერატურული გემოვნებით არჩევდა, აცლიდა ზღაპრულ შინაარსს და პრაქტიკული ცხოვრების რეალისტური სურათებით აშუქებდა. პოეტს განუწყვეტლივ სტანჯავდა სომხეთის ბედი, მას აწუხებდა, ერთის მხრივ, სომხეთის ეროვნულ-პოლიტიკური ჩაგვრა და, მეორე მხრივ, ის ძველი ტრადიციები, რომლებიც ხელს უშლიდნენ სომხეთის ეროვნულ-კულტურულ აღმავლობას. მწერლის ყოველი ნაწარმოების იდეური მიზანსწრაფვა ამ ძირითადი მაგისტრალური ხაზებით არის შემოფარგლული. რუსეთისა და თურქეთის კოლონიის—სომხეთის „ბედისწერა“ სევდიანს ხდის პოეტის ჰანგებს. იგი ერთერთ თავის ლექსში გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „დღე სავსეა ბოროტებით, ღამე ყრუ ქვითინითო“. ლექსში „სომხეთის მთებზე“ სევდიანად ამბობს:

„ო, ჩვენს ქარავანს დაშლილს, დაყოფილს,
აღარ ამშვენებს ძლევის ალამი.
ეჰ, ძნელია სომხეთის ყოფა,
მოგვაქვს ჭრილობა დაუთვალავი —
სომხეთის მთებზე,
მგლოვიარ მთებზე.
ნუთუ არ გვეყო ტანჯვა დიდი?
ლოდინმა თვალი სევდით დაჩრდილა.
როს გვეღირსება ჩვენ განთიადი?
როდის ამოვა ბრწყინვალე დილა —
სომხეთის მთებზე,
ზურმუხტის მთებზე“?

მაგრამ სევდის ეს შავი ბურუსი ვერ ჰფარავს პოეტის ნათელ გონებას და არ ხდის მას პესიმისტად. ის ყოველ სევდიან ლექსშიაც კი ამჟღავნებს იმედს. სომხეთა სევდა უნაპირო ზღვაა,—ამბობს პოეტი,—მაგრამ გული მაინც დაეძებს განთიადს, „სცოცხლობს ტანჯვით, რომ კვლავ იბრძოლოს“. გადაგვიხდია ბრძოლა მრავალი, ეუბნება პოეტი თავის ხალხს, მაგრამ, ტანჯულმა სულმა არ იცის დაღლაო.

ოვ. თუმანიანი ეროვნული თვითგამორკვევის, ნაციონალურ - განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაზრისზე იდგა. იგი არ მისულა სომეხი ნაციონალისტების თვალსაზრისამდე. ყოველთვის განირჩეოდა მათგან, როგორც ამიერ-კავკასიის ერთა მეგობრობის მოტრფიალე. მან წამოაყენა პოეზიაში ერთა მეგობრობის იდეა, პირველმა გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი ქართველი და სომეხი ინტელიგენციის დაახლოვებისათვის. „კავკასიის ჭაღარა ერებს“ მეგობრული გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა, როცა ეუბნებოდა,—„ერთი ერის უბედურება ვერ გადაიქცევა მეორის კეთილდღეობად“, „მიმოიხედეთ გარშემო და დაინახავთ, რომ ისტორიულად და ბედით ძმები ვართო“. თავის შესანიშნავ ლექსში „საქართველოს პოეტებს“ თუმანიანი ამბობდა:

დავდგეთ, ქურუმნი, ძმად და მეგობრად,
შევქმნათ ოჯახი ამხანაგური!
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად
ყველამ მივზიდოთ თითო აგური.

ოვ. თუმანიანს განსაკუთრებით აწუხებდა სომეხ-თათართა შორის ჩამოვარდნილი შუღლი. „ძნელია,—ამბობდა იგი,—გამოძებნა მეორე ისეთი მახინჯი, ვერაგული, უსინდისო და საზარელი ომისა, რანაირიც სომეხ-თათართა შორისაა“. ასეთ შემთხვევაში თუმანიანს აღარ აინტერესებდა მარტო ლიტერატურული მუშაობა. ის თავის მოვალეობად სთვლიდა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჩარეულიყო და მიეღწია მათი შერიგებისათვის. ის ერთ თავის მეგობარს სწერდა: „დღესაც იმდენად ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობით არა ვარ კმაყოფილი, რამდენადაც იმით, რომ ერთიმეორის წინააღმდეგ მდგარ ერებს ხმლები ქარქაშში ჩავაგებინეო“.

პოეტი ჰგმობს ეროვნულ შუღლს, როგორც ბოროტებას, ასევე იქცევა იგი მაშინაც, როცა თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში აგვიწერს „სოფლის ცხოვრების იდიოტიზმს“, ძველ, დახავსებულ ყოფითს ტრადიციებს, უუფლებო და გაჭირვებული გლეხის მდგომარეობას.

ოვ. თუმანიანის შემოქმედება მრავალმხრივ არის ძვირფასი და მისაღები. ჩვენი ეპოქისათვის იგი ძვირფასია თავისი ძლიერი მხატვრული შემოქმედებით. და დაუსრულებელი ლტოლვით ხალხთა სიკეთისა და სიყვარულისაკენ. ამ მგზნებარე ლტოლვამ დასრულება ჰპოვა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, აზერბაიჯანსა, სომხეთსა და საქართველოში. პოეტმა დაინახა მრავალი წლის მანძილზე „გულში მუნჯად შენახულ ოცნებათა“ განხორციელება.

გავაუმჯობესოთ საბავშვო პუნქტების მუშაობა

თბილისის მილიციის ყველა განყოფილებასთან არსებობს ბავშვთა უმეთვალყურეობასთან მებრძოლი პუნქტები. ეს პუნქტები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან ბავშვთა უპატრონობისა და უმეთვალყურეობის ლიკვიდაციის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 31 მაისის ისტორიული დადგენილების რეალიზაციისათვის. ცალკეული პუნქტები, ნაცვლად ნამდვილი აღმზრდელობითი მუშაობისა, ბავშვთა უმეთვალყურეობის ფაქტების ფორმალური რეგისტრაციით კმაყოფილდებიან. პუნქტებს უჭირავთ პატარა ოთახები, რომლებიც სათანადოდ არ არის მოწყობილი.

საბავშვო პუნქტში მუშაობენ არასპეციალური განათლების მქონე, შეთავსებით მომუშავე პირები. ხშირია საბავშვო პუნქტების მომუშავეთა გადაყვანა-დანიშვნა განსახკომის ნებადაურთველად, რის გამო საბავშვო პუნქტებში მუშაობენ შეუმოწმებელი, დაბალი კვალიფიკაციის პირები.

საბავშვო პუნქტები ჯერ კიდევ ცუდად მუშაობენ მშრომელთა შორის. ამის გამო ბავშვები ხულიგნურად იქცევიან, წესრიგს არღვევენ და სხვ.

მიუხედავად თბილისის საბჭოს დადგენილებისა, კინოებში საღამოს 9 საათის შემდეგ მაინც დაიარებიან მცირეწლოვანი ბავშვები (მაგალითად, კინო „განთიადში“ და სხვ.), რასაც ბოლო უნდა მოეღოს.

საკმაო დახმარებას არ უწევენ საბავშვო პუნქტებს რაისაბჭოების სექციები, რაიგანათლების განყოფილებები, კომკავშირის ცალკეული პირველადი ორგანიზაციები, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები.

საჭიროა თბილისის კლუბებმა, სამკითხველოებმა, სახლთა მმართველობებმა ყოველგვარი პირობები შეუქმნან ბავშვებს უკეთესი კულტურული დასვენებისათვის.

გ. დავითაშვილი.

ა. მ. გორკის დაბადების 70 წლისთავი

ლენინგრადის საზოგადოებრიობა ემზადება, რათა ღირსეულად აღნიშნოს დიდი პროლეტარული მწერლის ა. მ. გორკის დაბადების 70 წლისთავი, რომელიც 28 მარტს სრულდება.

მუშათა კლუბებში, ლექტორიებში, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, პარტიული აქტივის სახლებში ეწყობა საღამოები, იკითხება ლექციები და მოხსენებანი უსაყვარლესი სახალხო მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ვინც „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ საზიზღარი ბანდიტების ხელმა უდროოდ გამოასალმა წუთისოფელს.

ა. მ. გორკის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ ემზადება კიროვის რაიონის კულტურის სახლი, რომელიც დიდი მწერლის სახელს ატარებს.

აქ ეწყობა გორკისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა ამ გამოფენას უმდიდრეს მასალებს აძლევს — გორკის ნაწარმოებთა პირველ გამოცემებს, იშვიათ რეპროდუქციებსა და სურათებს, ავტოგრაფებსა და სხვ.

კიროვის სახელობის კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების წრეები ამზადებენ გამოფენას — „გორკი ხელოვნებაში“. გამოფენაზე ცენტრალურ ადგილს დაიკავებს ა. მ. გორკის დიდი ბარელიეფი, თვითნასწავლი მოქანდაკეების მიერ კოლექტიურად დამზადებული. (საკდესი).

* * *

გორკი, 21 მარტი (საკდესი). 100 წელია, რაც ქ. გორკის ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა არსებობს.

ბიბლიოთეკის გაზრდასა და ყოველნაირად გაუმჯობესების საქმეში უშუალო მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სპეციალური სამკითხველო დარბაზი, რომელსაც გორკის სახელი ეწოდება. ამ დარბაზში ა. მ. გორკი ოთხმოცდაათიან წლებში ხვდებოდა ვ. გ. კოროლენკოს.

ბიბლიოთეკის არქივში დაცულია საინტერესო დოკუმენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ზრუნავდა დიდი მწერალი ადგილობრივი ბიბლიოთეკის ფონდის შევსებაზე. ბიბლიოთეკის მრავალ წიგნს, რომლებითაც მკითხველები სარგებლობენ, დასმული აქვს შტამპი „მაქსიმ გორკის განყოფილება“. ეს წიგნები მაქსიმ გორკიმ აჩუქა ბიბლიოთეკას სხვადასხვა დროს; ამ წიგნების რიცხვი 800-მდე აღწევს. ქ. გორკიში ყოფნის დროს ალექსი მაქსიმეს-ძე ამ წიგნებით ხშირად თვითონაც სარგებლობდა ცნობების ამოსაკრებად.

ბიბლიოგრაფიული განყოფილება დიდ მუშაობას ატარებს გორკის ნაწარმოებთა და გორკის შესახებ არსებული ლიტერატურის კარტოთეკის შესადგენად. მეთოდური კაბინეტი მოძრავ გამოფენებს აწყობს გორკის შესახებ. ეწყობა ბიბლიოთეკართა საერთოსაქალაქო და სარაიონო კონფერენციები გორკის ნაწარმოებთა დარგში მუშაობის თაობაზე. მწერლის დაბადების 70 წლისთავისათვის დიდ გამოფენას ამზადებენ.

* * *

გორკის სახელობის საოლქო ლიტერატურულ მუზეუმში სიყვარულით შეუგროვებიათ ასობით ექსპონატები, რომლებიც ასახავენ ალექსი მაქსიმეს-ძეს ცხოვრებასა და შემოქმედებას. ექსპონატთა შორის მოიპოვება მეტრიკული წიგნი ჩანაწერით ალიოშა პეშკოვის დაბადების შესახებ, „სიმღერა შავარდენზე“-ს ნაწყვეტის ხელნაწერი. ალექსი მაქსიმეს-ძემ პირადად აჩუქა მუზეუმს თითო ეგზემპლარი თავისი წიგნების თარგმანებისა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ჩეხურ, პოლონურ, მადიარულ, იაპონურსა და ებრაულ ენებზე.

* * *

გორკის პიესებს საპატიო ადგილი უჭირავთ ქ. გორკის დრამატიული თეატრის რეპერტუარში. პიესა „მეშჩანები“ უკვე 11 წელია, რაც გამუდმებით იდგმება. სდგამენ პიესებს—„ფსკერზე“, „მტრები“, „უკანასკნელნი“, „მზის შვილები“, „ეგორ ბულიჩევი“ და სხვ. გორკის დაბადების 70 წლისთავზე თეატრი სდგამს მის პიესას „ზიკოვები“. თეატრის კოლექტივი ამზადებს „კლიმ სამგინის ცხოვრების“ ინსცენირებას.

* * *

როგორც ვიცით, გადაწყვეტილია დაიდგას ქ. გორკიში დიდი პროლეტარული მწერლის ძეგლი. წინათ ფიქრობდნენ, რომ ძეგლი დაიდგმებოდა კოსაზე, ყოფილი ტაძრის ადგილზე, ეგრეთწოდებულ ციმბირის ნავმისადგომებთან. ახლა საბოლოოდ გადაწყვეტილია, რომ ძეგლი აიგება მაღლა მთაზე, რომელიც მდინარე ოკას დაჰყურებს, ოკის დიდი ხიდის პირდაპირ. ძეგლი შორმანძილზე გამოჩნდება ვოლგიდან, ოკიდან, ყოფილი კანავინოდან (ამჟამად სტალინის რაიონისა) და ქალაქიდან. ძეგლიდან ქვევით მდინარისაკენ განზრახულია გაკეთდეს გრანიტის ფართო კიბე.

საჭიროა მეტი ყურადღება

ხაშურის რაიონის ავლევის სასოფლო საბჭოს და სოფ. ატოცის 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელნი ნაკლებად ზრუნავენ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე.

26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობას აქვს წყარო, რომლის გადაკეთებაზე აურაცხელი ფული დახარჯეს, მაგრამ ახლის გაკეთების ნაცვლად ძველიც დაანგრიეს.

წყაროს გადაკეთებას 1934 წელს შეუდგნენ, დაანგრიეს, მაგრამ მის გაკეთებაზე კი აღარ უზრუნიათ. ამჟამად წყარო სრულიად გამოუსადეგარია, რის გამო მოსახლეობა საყვედურს გამოსთქვამს.

აქ არც გზების შეკეთების მხრივაა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. კოლმეურნეობა ძალიან მაღლობ ადგილზე მდებარეობს და თუ გზები არ შეკეთდა, მოსახლეობას გაუჭირდება მიმოსვლა. აქ სრული შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ კოლმეურნეობის გამწევი ძალა, მოიხმარონ კოლმეურნეობის ქონება და შეაკეთონ წყარო და გზები, მაგრამ საქმეს ხელმძღვანელი სჭირდება.

26 კომუნარის სახ. კოლმეურნეობის წევრები მოითხოვენ, რომ სასოფლო საბჭომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს კოლმეურნეობის საჭიროებას და სასწრაფოდ მოაგვაროს ზემოაღნიშნული საკითხები.

აქ. სამარღანიშვილი



ბათუმი — შმიდტის ქუჩა

„მსოფლიოს მწვერვალზე“

ლონდონი, (საკდესი). მოსკოვის „სალიტერატურო საგენტოსთან“ დადებული ხელშეკრულების მიხედვით ლონდონის გამომცემლობა „ვიქტორ გოლანდი“ ამ დღეებში უშვებს წიგნს „მსოფლიოს მწვერვალზე“, რომელიც ეხება საბჭოთა ექსპედიციას ჩრდილოეთის პოლუსისაკენ. წიგნი შეტანილია „ლეფტ-ბუკლაბის“ (მემარცხენე წიგნის კლუბი) სერიაში და გამოშვებული იქნება 50 ათას ცალად. ამ წიგნის გამოსვლასთან დაკავშირებით ლონდონის გაზეთი „ობსერვერი“ სწერს:

„ახლა ყველა იცნობს ივანე პაპანინსა და მის სამ ამხანაგს, ამ ცოტა ხნის წინათ რომ გადმოიყვანეს მოდრეიფე ყინულიდან, რომელიც მათს თავშესაფარს წარმოადგენდა ცხრა თვის განმავლობაში. მამაც მოზამთრეთა გადმოყვანა, განხორციელებული ყინულმჭრელებითა და თვითმფრინავებით თავისთავად საკმაოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა. მალე ჩრდილოეთის პოლუსის დაპყრობის დიადი საქმის მთელი შესანიშნავი ისტორია — დღიურები, რადიოგრამები, ცალკეული მომენტების ჩანაწერები—ყველა ჩვენგანისათვის მისაწვდომი გახდება.

წიგნი „მსოფლიოს მწვერვალზე“ აკადემიკოს ო. ი. შმიდტის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოდის. შმიდტი გასულ წელს მეთაურობდა საბჭოთა ექსპედიციას ჩრდილოეთის პოლუსისაკენ. წიგნში მოთავსებულია ექსპედიციის მრავალი მონაწილის დღიურები და რადიოგრამები. ფოტოგრაფიები საუცხოოა, წიგნი კი იმდენადვე მომხიბვლელი მოთხრობაა მამაცი მოზამთრეების ცხოვრებისა და თავგადასავლის შესახებ, რამდენადაც მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს მეცნიერთა და ნატურალისტთათვის“.

უახლოეს მომავალში ამ წიგნს გამოსცემენ აგრეთვე ნიუ-იორკის გამომცემლობა „კოვიჩი ფრიდე“, პრაღის გამომცემლობა „ორბისი“ და ამსტერდამის გამომცემლობანი „შელტენსი“ და „გელტრეი“.

მატერიალური კულტურის ძეგლები

ქუთაისი და მისი რაიონი მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით, რომელთა რიცხვი 120 აღწევს.

ამ ძეგლებს შორის აღსანიშნავია მე-10 საუკუნის ბაგრატის ტაძრის ნანგრევები. გასულ წელს გაწმენდილ იქნა ტაძრის ტერიტორია ნაყარი მიწისაგან. აღმოჩნდა, რომ ტაძარს ჰქონია მოზაიკის იატაკი, ეს მოზაიკა ალაგ-ალაგ კარგადაა შენახული. ტაძრის ეზოს გაწმენდამ ცხადჰყო, რომ დასავლეთით ტაძარს ჰქონია თაღებიანი მინაშენი, რომლის საძირკველი ნათლად სჩანს.

მატერიალური კულტურის ძეგლთა შორის აღსანიშნავია მწვანე ყვავილას ციხე-ეკლესია, რომელიც აგებულია მე-11 საუკუნეში, და ქუთაისის ძველი გალავანი, რომელიც მე-8 საუკუნეს ეკუთვნის.

მე-12 საუკუნის ძეგლებია გეგუთის ციხე-დარბაზი და ს. დერჩის ეკლესია, რომელიც საუკეთესოდ არის დაცული.

რიონის ხეობაში, ქუთაისიდან 35 კილომეტრის მანძილზე, დაცულია კლდეზე აგებული ხომულის ციხე, აშენებული მე-16 საუკუნეში. მე-16 საუკუნის ძეგლია აგრეთვე ს. ზარათის ეკლესია.

სოფ. პატრიკეთში, მესხეთში, საყულიაში და ქუთაისის გარეუბანში (თეთრა მიწა) დაცულია ყორღნები, რომლებიც შემდეგი კვლევისათვის გათხრას საჭიროებენ.

მოსკოვის სამხეცე სოხუმში

სოხუმი (საქ. კორ.) მოსკოვის სამხეცე ამთავრებს თავის გასტროლებს სოხუმში. სამხეცე ჩამოვიდა გასული წლის ნოემბერს. მან აფხაზეთის მშრომელებს უჩვენა ლომები, ვეფხვი, ბარსი, ლეოპარდი, სპილო, დათვები, ირმები, მგლები, ზებრა, მაიმუნები, ნიანგი და სხვ. მეტად საინტერესოა ერთ გალიაში მოთავსებული ლომი და ვეფხვი. ისინი ერთიმეორეს კარგახანია შეეჩვივნენ და ცალცალკე გაძლება აღარც კი შეუძლიათ.

სამხეცე ნახა 72.350 კაცმა. სამხეცის სანახავად მოდიოდნენ კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და მოსწავლენი ახლო რაიონებიდან.

ახალი ქართული ბალეტი

მრავალფეროვანი და წარმტაცი ქართული ხალხური ცეკვები და მელოდიები მდიდარ შესაძლებლობას იძლევიან ახალი საბჭოთა კლასიკური ბალეტის შესაქმნელად.

ზოგიერთი ცდა ქართულ ბალეტში ეთნოგრაფიული ცეკვებისა და მელოდიების გამოყენებისა აქამდე მიზანს ვერ აღწევდა. თბილისის საოპერო სცენაზე დღემდე ვერ ვნახეთ იდეოლოგიურად და მხატვრულად სრულფასიანი ქართული ბალეტი. ბალეტი „ნარგიზა“, რომელიც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში უნდა დაიდგას უახლოეს ხანში, — ამ მხრივ პირველსა და გაბედულ ნაბიჯს წარმოადგენს.

„ნარგიზა“ იქნება პირველი ქართული ბალეტი, რომელიც მთლიანად აგებულია თანამედროვე მასალაზე.

ბალეტის მიზანია უჩვენოს მაყურებელს ის გრანდიოზული მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს კოლხიდის ჭაობების ამოსაშრობად, უჩვენოს სოციალისტური მშენებლობის ახალი ადამიანები, მათი შრომითი ენთუზიაზმი, ჯაშუშ-დივერსანტების გამხრწნელი მუშაობა და სხვ.

აქ შესანიშნავად არის შეხამებული ხალხური ცეკვები კლასიკური ბალეტის ელემენტებთან. ბალეტის სიუჟეტის შესაბამისად არის დაწერილი კომპოზიტორ შ. თაქთაქიშვილის მუსიკაც.

დიდი გემოვნებით არის გამოყენებული ეთნოგრაფიული მუსიკა, განსაკუთრებით იმ სცენებში, სადაც შესრულებული იქნება ხალხური ცეკვები. თუმცა „ნარგიზაში“ ფართოდ არის გამოყენებული ხალხური ცეკვები და მუსიკა, მაგრამ იგი როდი აძლევს ამ ბალეტს დივერტისმენტის სახეს. „ნარგიზა“, როგორც ბალეტი კომპოზიციის თვალსაზრისით ერთი მთლიანი სპექტაკლია, რომელსაც ექნება ღრმა იდეური შინაარსი. ამაშია სწორედ მისი ღირსება.

კურორტ საირმის კეთილმოწყობა

საქ. ჯანსახკომის კურორტთა მთავარმა სამმართველომ მომავალი სეზონისათვის კურორტ საირმის კეთილმოსაწყობად 120.000 მანეთი გაიღო. ამ თანხით შესრულდება შემდეგი სამუშაოები: გაფართოვდება საბინაო ფონდი, მოეწყობა სასადილო, მოხდება კურორტის ტერიტორიის საერთო კეთილმოწყობა, გზები კაპიტალურად შეკეთდება და სხვ.

გარდა ამისა, მიმდინარე წლის სეზონისათვის დამთავრდება ორსართულიანი სახლის მშენებლობა. რაც შეეხება დროებითს ბარაკებს, მათ დამხმარე ხასიათი აქვთ და იმ შემთხვევაში, თუ არსებული საბინაო ფონდი ვერ დააკმაყოფილებს ჩამოსულ ავადმყოფებს, ბარაკები ნაწილობრივ იქნება გამოყენებული, რისთვისაც ისინი წინასწარ შეკეთდება.

ხელოვნება

პიესა „ნაპერწკლიდან“ სომხურ ენაზე

ერევნის სახელმწიფო წითელდროშოვანი თეატრის შეკვეთით არტ. დავითიანი სომხურ ენაზე სთარგმნის შ. დადიანის პიესას „ნაპერწკლიდან“.

აღნიშნული პიესის თარგმანზე მოთხოვნებია აგრეთვე გამოგზავნილი ლენინაკანისა და ბაქოს სომხური თეატრებიდან.

დილის წარმოდგენები მოსწავლეთათვის

საგაზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით თბილისის თეატრები აწყობენ დილის წარმოდგენებს მოსწავლეთათვის. მორიგი სპექტაკლები გაიმართება 24 მარტს, დღის 12 საათზე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი სდგამს „ლატავრას“, რუსთაველის თეატრი — „სულელს“, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი — „ნაპერწკლიდან“; მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი აწყობს ბავშვთა თვითმოქმედების დილას.

შემთხვევები

სპეკულანტის შეპყრობა. მილიციის მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა შეიპყრეს შ. ა. გოზალიშვილი, რომელსაც პლეხანოვის პროსპექტზე, № 16, ჰქონდა ფეხსაცმლის სახელოსნო. გამოირკვა, რომ მას კავშირი ჰქონდა სპეკულანტებთან და ქურდებთან, რომლებისგანაც ყიდულობდა სხვადასხვა ტყავეულს. შეპყრობის დროს გოზალიშვილს აღმოაჩნდა 20 ათასი მანეთის ტყავეული და 14 ათასი მანეთი ფულად. სპეკულანტის საქმე სასამართლოს გადაეცა.

ხანძარი ავტომანქანაზე. 21 მარტს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მანქანაზე (შოფერი კარპოვი), რომელიც დატვირთული იყო ბენზინით სავსე კასრებით, უეცრად გაჩნდა ხანძარი. როგორც გამოირკვა, ხანძრის გაჩენის მიზეზი ის იყო, რომ კასრიდან გამოჟონილი ბენზინი მოხვდა გაცხელებულ მაყუჩს და აფეთქდა. ავტომანქანა დაიწვა. გამოძიება სწარმოებს.

ახალი ამბები

● არდადეგებზე [illegible] საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რაიონების სკოლების 2.000-ზე მეტი მოსწავლე ინახულებენ ამხანაგ სტალინის სამშობლოს — ქ. გორს.

● **24 მარტს** თბილისში ეწყობა მოწაფეთა პირველი საჩვენებელი ტაქტიკური მეცადინეობა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ 43-ე, 65, 56, 100 და 36 საშუალო სკოლები.

● **პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა** ქართულად სთარგმნა მე-12 საუკუნის რუსული მატერიალური კულტურის უძვირფასესი ძეგლი — „ამბავი იგორის ლაშქრობისა“. წიგნს გამოსცემს „ფედერაცია“.

● **1 მარტს** ბაშკიჩეთის რაიონის სოფ. ვარდისუბნის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში გაიხსნა სამშობიარო სახლი.

ფეხბურთი

„დინამო“—ქალაქების ნაკრები

24 მარტს თბილისის „დინამოს“ ოსტატები ჩაატარებენ მეორე საკონტროლო მატჩს. ამ დღეს მათ წინააღმდეგ გამოვა ქალაქების ნაკრები გუნდი, რომელშიაც შევლენ თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისისა და ოჩემჩირის მოთამაშეები.

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.

ახალი წიგნები

სახელგამმა გამოსცა შემდეგი ახალი წიგნები:

გიორგი ნადირაძის მონოგრაფია კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილზე, მ. სალტიკოვ-შჩედრინის „პომპადურები“, თარგმანი არ. ჭუმბაძისა, ფ. კუპერის „მერსედეს კასტილიელი“, თარგმანი არ. ახნაზაროვისა.

გამომცემლობა „ფედერაციამ“ ცალკე წიგნად გამოსცა იაკინთე ლისაშვილის ახალი მოთხრობა „კოლხეთის მზე“.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემით გამოვიდა გივი გაჩეჩილაძის ნარკვევი ბაირონზე. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ბაირონის ზოგიერთი ლექსის თარგმანი.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

23 მარტი.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: ლენინ-სტალინის მოძღვრება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის შესახებ. კონსულტანტი — ამხ. ვერულია. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: დასაწყისი ახალი ეკონომიური კრიზისისა კაპიტალის ქვეყნებში. კონსულტანტები: ქართულ ენაზე — ამხ. გეგეშიძე, რუსულ ენაზე — ამხ. დაისი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია ქართულ ენაზე. თემა: დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. კ. ა. კალაშიანს, ტ. გ. ჩუბინიძეს, კ. ა კარაპეტიანს, ს. დ. დავიდოვს, ბ. მ. ხოდიკიანს და პ. პ. ჯუღელს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. მანუკოვთან (ძერჟინსკის ქ. № 8. ოთახი № 23).

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს იასონ შოთას-ძე გაბისონიას და ვიქტორ ევტიხის-ძე კალანდაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. მანუკოვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი 23).

* * *

23 მარტს, საღამოს 7 საათზე, თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის პარტაქტივისათვის რუსულ ენაზე შესდგება მოხსენება. თემა: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელი ამხ. ფრიშენბერგი.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. შალვა ივანეს-ძე აბესალაშვილს, მიხეილ საველის-ძე ბორისოვს, ირაკლი გიორგის-ძე ასანიძეს, გიორგი სიმონის-ძე ბაძგარაძეს, ალექსი სოსოს-ძე ბარსეგიანს, ალექსანდრე ილარიონის-ძე ბახტაძეს, ადოლფ ვლადიმერის-ძე ბუხშტაბს, ბაგრატ დავითის-ძე გოგიევს, ვერა ივანეს-ასულ გელაზარაშვილს, ნინო სტეფანეს-ასულ ჯღარკავას, კონსტანტინე იაკობის-ძე იონათამაშვილს, ლევან სიმონის-ძე კახიაველს, იასონ ანდრიას-ძე კინწურაშვილს, ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე კოტრიკაძეს, ვლადიმერ ემელიანის-ძე კომაშკოს, ვლადიმერ მიხეილის-ძე ქუთათელაძეს და მიხეილ ესტატეს-ძე ყუშიტაშვილს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლ. ჩიხლაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ვლადიმერ ზოსიმეს-ძე მამალაძეს, შალვა ევსევის-ძე გოგოლაშვილს და გიორგი მიხეილის-ძე ულერიას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ლამაურთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

23/III	წარმოდგენა 128. სულელი
24/III	წარმოდგენა 129. სულელი
26/III	წარმოდგენა 130. სულელი

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე.
დასაწყ. 8 საათზე.

ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ. 123, ტელ. 3-02-29
23 და 24 მარტს ტალონები № 77, 78
ოპერეტის ოსტატთა ლენინგრადის ანსამბლის ორი უკანასკნელი გასტროლი
I. ქალის მზაკვრობა ოპერეტა 1 მოქმ.
II. მთის ვარდი ოპერეტა 1 მოქმ.
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 9 ს.
24 მარტს საბავშვო დილა. საბავშვო აბონემენტები ძალაშია. ტალონი № 8.
17742

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწ. თეატრი
სეზონი 1937/38 წ.
24 მარტს
დღის წარმოდგენა ფასდაკლებით
ნ. შიუკაშვილისა
სულელი
დრამა 5 მოქმ. 7 სურათად
დასაწყისი დღის 12 საათზე.
სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
ხოლო წარმოდგენის დღეს დილის 9½ საათიდან.
40 დირექცია.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა
„კომუნისტი“
მიიღება ხელისმოწერა 1938 წლის 1-ლ აპრილისათვის და წლის ბოლომდე
გაზ. „კომუნისტი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის, თბილისის კ-ის და საქ. ცაკ-ის ორგანო.

9 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
22 მ. 50 კ.	15 მან.	7 მ. 50 კ.	2 მ. 50 კ.

ყოველთვიურ ჟურნალებზე
„ბოლშევიკი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო.

10 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
9 მ. 50 კ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„ახალგაზრდა ბოლშევიკი“
საქ. ალკკ ც. კ-ის და თბ. კომიტეტის ორგანო.

10 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
9 მ. 50 კ.	3 მ.	1 მ. 50 კ.	50 კ.

„მშრომელი ქალი“
საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ორგანო.

10 თ.	6 თ.	3 თ.	1 თ.
3 მ. 60 კ.	2 მ. 40 კ.	1 მ. 20 კ.	40 კ.

ხელმოწერა უნდა ჩაბარდეს „სოიუზპეჩატს“, ფოსტას, წერილდამტარებლებს, ხელმოწერის შემკრებთ საწარმოებსა და დაწესებულებებში, პოლიტგანყოფილებათა გაზეთების გამომცემლობებს ტრანსპორტზე. ხელმოწერის ქვითრებსა და ფურცლებში შეამოწმეთ, სწორად და ზუსტად არის თუ არა აღნიშნული მისამართი, გვარი ინიციალებით და ხელმოწერის ვადები

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა ჩააბარეთ თავის დროზე, ნუ გადასდებთ თვის უკანასკნელი დღეებისათვის.

ხელმოწერის ჩაბარების უკანასკნელი ვადაა თბილისისათვის 25 რიცხვამდე ჩათვლით, პროვინციაში—ადგილებზე დაწესებულ ვადებში. 3—2

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

23/III წარმ. № 130	შური
24/III წარმ. № 131	ვერაგობა და სიყვარული
24/III	დღის წარმოდგენა ნაპერწკლიდან დასაწყ. დღის 12 საათზე.

დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12-დან საღ. 9 საათ.

ექიმი
ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი უძლურების მკურნალობა-ავადმყოფთა მიღება დილ. 10—12-დე, საღ. 7—9-დე. ნინოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის) № 5. 5—4 933

ხელისმომწერთა საყურადღებოდ
გამოვიდა და დაეგზავნა ხელისმომწერლებს
ჟურნალი
ბოლშევიკი № 1, პიონერი № 1, მშრომელი ქალი № 2, ოქტომბრელი № 2, ახალგაზრდა ბოლშევიკი № 2.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

23/III	მუდმ. ადგ. ტალონი № 141 ერთდრ. ბილეთების სერია № 2 პიკის ქალი
24/III	დღის წარმოდგენა მოწაფეთათვის ლატავრა დასაწყისი დღის 12 საათზე.
24/III	მუდმ. ადგ. ტალ. № 142 საღამოს რიგოლეტო

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების
გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135	ხმოვანი ფილმი კატერინა დასაწყ. 6, 7-40, 9-20, 11
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8	ახალი ხმოვანი ფილმი „დრამა რეიდი“ დასაწყ. 6-30, 8, 9-30, 11
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91 სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23	ხმოვანი კომედია „ცხარე დღეები“ დასაწყ. 6-30, 8, 9-30, 11
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი	ხმოვანი ფილმი „ხვალ თუ ომი იქნა“ დასაწყ. 6-30
არსენა კომუნალური ქ. № 9	ახალი ხმოვანი ფილმი „დრამა რეიდი“ დასაწყ. 6-30
ახალი ამბები	ხმოვანი კინო-ნარკვევი ტიქსის ბუხტი, ბიროგიჯანი

თბილისის საქორგაღრიცხვის მე-2 ფილიალი
აწარმოებს:
1. ბუხჰალტრების
2. მოანგარიშეების
3. საქმისმწარმოებელ-მოანგარიშეების
მომზადებასა და გადამზადებას. იხსნება ახალი ჯგუფები.
კალინინის ქ. № 51 (რკ. გზ. მე-5 სკოლა) ტელეფ. 3-38-41.
საღ. 7-10 ს-მდე.
51 სასწ. ნაწ. გამგე. პ. ლანდია. 3—1

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის
თბილისის ფილიალის ბიბლიოთეკა
სთხოვს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, საბჭ. დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელთაც აქვთ წიგნები, გაზეთები, ბროშურები, ფურცლები, მოწოდებანი, პროკლამაციები, ფოტოგრაფიული სურათები ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე 1890 წლიდან 1920 წლამდე საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობისა და კომუნისტურ ორგანიზაციათა ისტორიის შესახებ,— გადასცენ ასეთი ლიტერატურა ბიბლიოთეკას.
ფასს ბიბლიოთეკა აანაზღაურებს შეთანხმებით.
მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, 16

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 23 მარტს
საცირკო წარმოდგენა
განახლებული პროგრამით
აგრეთვე ფრანგული პროფესიული ჭიდაობის მატჩების გაგრძელება
ჭიდაობს 3 წყვილი:
1-ლი—კანელი—სკული.
მე-2—პ. ზაგორუიკო—ვილი ბური.
მე-3—მიხალენკო—კოქემიაკა.
დასაწყ. წარმოდგ. საღ. 8 ს. 30 წ., ჭიდაობისა—10 ს.
დღეს მესამე საარდადეგო წარმოდგენა
დღისით დასაწყ. 2 ს.

საქ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი
წინადადებას აძლევს ხსენებული ინსტიტუტის ყველა
ექსტერნს
გამოცხადდნენ ა. წ. 24 მარტს, დღის 12 საათზე ინსტიტუტის კლუბში
(სამოსწავლო შესახვევი № 2/4) ექსტერნების სწავლის გაუმჯობესებისათვის დანიშნულ თათბირზე.
1061 საქ. ინდუსტრ. ინსტიტუტის დირექტორი ბოჯგუა.

ა. დ. ქლენვი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

სახელმწიფო უნივერსიტეტის არაორგანიული ქიმიის კათედრა ულრმესი მწუხარებით იუწყება თავისი ძვირფასი წევრის დაუვიწყარი მეგობრის დოცენტ
ზაქარია (ზაქრო) გიორგის-ძე ნამორაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. ფასანაურის შესახვევი № 9 გამოსვენება 24 მარტს, 1 საათზე. დაკრძალვა ვაკის ახალ სასაფლაოზე.
17740

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სას. ზღვ.-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24; პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 296